საბა
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
№ 4
აპრილი
2006

ქრისტე აღდგა!

(რუბრიკა) **რედაქციის გვერდი**

თავისუფლება... მაგრამ როგორი?

არსებობს სიტყვები და რეალობები, რომლებიც ადამიანებზე უჩვეულოდ ზემოქმედებს, როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური თვალსაზრისით, მათ რიცხვს განეკუთვნება სიყვარული, სიცოცხლე, ტკივილი, სიკვდილი. მათ შორისაა – თავისუფლებაც. თავისუფლების მოთხოვნილება, მისი მოპოვება და გაფრთხილება ყოველთვის ხალხთა ცივილიზაციის დონის მაჩვენებელი იყო.

მოდით, ვიკითხოთ, როგორია დღევანდელ მსოფლიოში თავისუფლების დონე? დასავლელი ამ კითხვაზე დაუფიქრებლად გასცემს პასუხს; როგორც სიმბოლო, მან შეიძლება ნიუ იორკის ცნობილი თავისუფლების ქანდაკებაც გაიხსენოს. ხოლო თუ იგი თავისუფლების კონკრეტული მაგალითების მოშველიებას შეეცდება, შეამჩნევს, რომ ყველაფერი არც ისეა, როგორც უნდა იყოს. დავფიქრდეთ, მაგალითად, დღესდღეისობით ყბადაღებული პრესის თავისუფლების შესახებ, რატომ არ ვკითხულობთ, თუ რად მუშაობს მასმედია ერთსა და იმავე ინფორმაციაზე, რატომ იქცევა ერთი და იმავე ფაქტის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მწარე დაპირისპირების წყაროდ; როგორ გავიგოთ ისლამური სამყაროს მიერ რამდენიმე კარიკატურის წინააღმდეგ გალაშქრება და ზოგიერთი პირის სრულიად უადგილო თვითდაცვა? იმას, რომ "აკეთო, რაც მოგესურვება" ანდა "ყველაფერი ნებადართულია", ოღონდაც კი გარკვეულ მიზნებს მიაღწიო ეკონომიკის, მედიცინის, გენეტიკის, პოლიტიკის, ინფორმაციის, ემანსიპაციის, გართობის, სპორტის დარგში, მავანთათვის დასავლეთშიც პრობლემებს წარმოშობს; განა ეს ფანატიზმის ფორმა არაა, რაც გამოწვეულია თავისუფლების აბსურდული აღქმიდან? ადამიანებში ჯერ კიდევ ღრმაა იმის შიში, რომ რაღაცას დავკარგავთ, თუ გავბედავთ და ვიტყვით, რომ თავისუფლება არ ნიშნავს "აკეთო ის, რაც მოგესურვება" ანდა "ყველაფერი ნებადართულია".

მანამდე კი სამყარო, რომლის იდენტიფიკაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა დასავლეთთან, მას ისე უყურებს, როგორც სამოთხეს, ყველაზე საუკეთესო რეალობას, ერთადერთ მისაბაძს ან სულაც როგორც გახრწნილ, ნაწილებად დასაშლელ, კათოლიკობასთან და პროტესტანტიზმთან გაიგივებულ სამყაროს, მაშინ, როდესაც სინამდვილეში სრულებით არაა აუცილებელი დასავლურ სამყაროსთან გაიგივება და მისი ნეგატიური ხედვის განზოგადება; სავალალო ისაა, რომ სანამ ჩვენ ამას ვირწმუნებთ, თუკი ძირეული ცვლილება არ მოხდება, გლობალიზაცია, – იმედია არა როგორც ცივილიზაციების შეჯახების, შეიარაღებული ამბოხების ნაყოფი, – სულ უფრო სწრაფად მიგვიყვანს თავისუფლების ამგვარი კონცეფციის შეგუებამდე, იმ კატეგორიასაც კი, ვინც უცნაური ქედმაღლობით და სიბრმავით ფიქრობს, რომ ეს მათ არასოდეს შეეხება.

რა დონეზეა თავისუფლება საქართველოში? პასუხი თვალნათელია, უფრო მეტიც, ამას ადასტურებს კათოლიკე კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის საზეიმო ნოტებზე შექმნილი ახალი ქართული ჰიმნის სიტყვები და ახალი სარეკლამო აფიშა, რომელზეც, თბილისის თავზე გადმომდგარი ქართვლის დედის

ქანდაკება რადაცით თავისუფლების ქანდაკებას გვახსენებს. თუკი ამავე კითხვით მივმართავთ ზოგიერთ არამართლმადიდებელ ოჯახს, – მაგალითად არალში, – იტყვიან, რომ სავსებით დაცულია მათი შვილების უფლება სკოლაში? ანდა იგივე ვკითხოთ ქუთაისის, ივლიტის, უდეს, გორის კათოლიკეებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ სამართალისთვის თავიანთ ეკლესიის საკითხში?

თავისუფლების დონე მომწიფებული და ცივილიზებულია, ინდივიდუალურად და სოციალურად, თუკი მოთხოვნილებაა არა იმდენად თავისუფლებაზე როგორც ასეთზე, არამედ, უწინარესად ისეთი პირობების შექმნაზე, სადაც მეორე პიროვნება, ანუ ყოველი ადამიანი, დამოუკიდებლად რასისა, რელიგიისა, სქესისა, სოციალურ-პოლიტიკურ-კულტურული მდგომარეობისა, ფიზიკური სიჯანსაღისა, ასაკისა, აღიარებულ იქნება როგორც თავისუფალი და ამ გზით მოახდენს თვითრეალიზებას. ხშირად გვსმენია, რომ ერთი ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც სხვისი იწყება; რად ამბობენ, რომ სხვისი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც ჩემი იწყება? სწორედ ეს არის მეტ-ნაკლებად ის ქვეცნობიერი სურვილი, გულით რომ ვატარებთ და ვცდილობთ ცხოვრებაში გადმოვიტანოთ; შეგვიძლია ფორმა შევცვალოთ: ჩემი თავისუფლება მთავრდება მაშინ, როდესაც ღმრთის თავისუფლება იწყება. და რატომაც არა: ღმრთის თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც ჩემი იწყება; თითქოს თავისუფლება ლიმიტი, ან გადასალახვი ზღუდე ყოფილიყოს, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია სხვის თავისუფლებაზე, იქნება ეს ადამიანი თუ ღმერთი; ეს ხომ ათეიზმის, კაპიტალიზმის, კონკურენციის ფილოსოფიაა? მართლაც ასეა? რატომ ვხედავთ სხვებში და ღმერთში კონკურენტებს, ან რატომ ვფიქრობთ, რომ სწორედ თავისუფლების მიზეზით, სხვები და ღმერთი ჩემში კონკურენტებს ხედავენ? ადამიანი თავისუფალია არა იმიტომ, რომ სხვა ადამიანებს და ღმერთს უნდა გაეჯიბროს, არამედ იმიტომ, რათა თვითრეალიზაცია მოახდინოს; ადამიანი თავისუფალია თავისი რეალობით, იგი ონტოლოგიურად არის ასეთი. ღმერთმა ადამიანი თავისუფალი შექმნა; "ღმერთმა პატივი მიაგო ადამიანს და თავისუფლება მიანიჭა მას" – წერს გრიგოლ ნაზიანზელი; ნიკოლაი ბერდიაევი წერდა: "თავისუფლების ფესვები დევს არა ნებაში, არამედ სულიერებაში", თავისუფლება სულიერი და რელიგიური კატეგორიაა და არა ნატურალისტური და მეტაფიზიკური; იგი წმიდა წყლის წყალობაა; ღმრთაებრივ თავისუფლებაში მოზიარეობაა; იგი ადამიანის სულიერი ცნობიერებაა: რაც მეტად ფლობს იგი სულიერ ცხოვრებას, მით უფრო მძლავრად გრძნობს საკუთარ თავისუფლებას; საკუთარი თავისა და სხვების თავისუფალ პიროვნებად აღიარება შეხვედრის, დიალოგის, ღმერთთან და სხვებთან თანამშრომლობის საფუძველს ქმნის; ეს შეხვედრა იმიტომ კი არ დგება, რომ მავანი, დაშინებული თუ დამშინებელი, უარყოფს საკუთარ თავისუფლებას, იმიტომ, რომ ორივეს თავისუფლება ერთმანეთს ხვდება; ყველაფერი, რაც ჩემგან განსხვავებულია, ღმრთის ჩათვლით, ჩემს თავისუფლებას კი არ შეზღუდავს, არამედ რეალიზაციის პირობას შეუქმნის; თავისუფალი ადამიანი თავის მსგავსს ეძებს თავისუფლებაში, არა იმიტომ, რომ სხვისი თავისუფლება ანგრიოს ან საკუთარი თავისუფლება საფრთხეში ჩააგდოს, არამედ სრული თავისუფლებით იცხოვროს; მეორე პიროვნება არ მგავს მე; თავისუფლებასთან შეხვედრა საკუთარი ცხოვრების რეალიზებას ახდენს.

თავისუფლების დონე მომწიფებული და ცივილიზებულია, ინდივუდუალურად და სოციალურად, თუკი თავისუფლება გახდება საბაბი არა "აკეთო ის, რაც მოგესურვება", არამედ ყველა თავისუფალი ადამიანის თვითრეალიზებისა, რომელიც დაემორჩილება არა ერთმანეთის მიმართ, ამა თუ იმ მორიგ პატრონზე, ამა თუ იმ მოდაზე ექსპანსიონისტურ ზრახვებს, არამედ იმას, რაც თავად ღმერთშია დაფარული; რეალურია ადამიანის თავისუფლება, თუ მისი დამორჩილება არის რეალური; მხოლოდ თავისუფალ ადამიანს ძალუძს

დამორჩილება; მხოლოდ თავისუფალ ადამიანს ძალუძს მსხვერპლად გაიღოს საკუთარი თავისუფლება, როდესაც ილახება მისი პიროვნება, სხვების პიროვნება, ღმერთი.

ებრაული და ქრისტიანული პასექის დიდი დღესასწაული ნათლად შეგვახსენებს თავისუფლების მადლს: ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ, გათავისუფლებულ ხალხს უწყალობებს ღმერთი რჯულს, როგორც *შესაქმის* წყაროს. ქრისტემ თავისი სიკვდილით და აღდგომით გაგვათავისუფლა *(გალ.5,1)* და მოგვანიჭა შვილობის სული და არა მონობის, რომ შიშით ვიცხოვროთ; ჩვენ თავისუფლებაში ვართ მოწოდებულნი *(გალ.5,13)* – ღაღადებს წმიდა პავლე; ქრისტიანი თავისუფალია, და ამიტომაც შეუძლია მორჩილება. მცნებათა დაცვა იმის მაჩვენებელია, რომ თავისუფლები ვართ და არა მონები; ვინც მცნებებს არ იცავს, ვერ იტყვის, რომ უყვარს ღმერთი და მოყვასი ვითარცა საკუთარი თავი ან იმგვარად, როგორც ღმერთმა შეგვიყვარა. ქრისტიანობა დასაბამითვე იქცა თავისუფლების რელიგიად, სივრცედ, სადაც ადამიანი თავისუფლებას გამოსცდის სიხარულით და სასოებით, ამ სიტყვების სრული გაგებით. ქრისტიანი ვარ, მაშასადამე ვარ თავისუფალი, ქრისტეში თავისუფალი – შეგვახსენებენ წმ. მოწამეები.

ნუთუ დღეს ქრისტიანობას არ ძალუძს, – მაშინ, როდესაც ცნებების დაცვის შესრულებაზე საუბრობს, რაც უპირისპირდება დევიზს – "აკეთო ის, რაც მოგესურვება", – დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც უშიშრად აუწყოს ჭეშმარიტი თავისუფლება, რომელიც კაცობრიობისათვის მკვდარსა და აღმდგარ ღმრთის ძეში, ქრისტეშია?

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

(რუბრიკა) **კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში**

მარტის მოვლენათა ქრონიკა

ბენედიქტე XVI-ის პირველი კონსისტორია

გასული თვის მთავარი მოვლენა კათოლიკე ეკლესიის ახალი კარდინალების დასახელება იყო. 24 მარტს, რომში, წმიდა მამამ თავისი პირველი კონსისტორია ჩაატარა, რომლის დროსაც მან კარდინალის ხარისხი 15 სამღვდელო პირს უბოძა. ესენი არიან: აგოსტინო ვალინი, სამოციქულო ბეჭდის სასამართლოს პრეფექტი, მთავარეპისკოპოსი რომის კურიიდან; ალბერ ვანუა, მღვდელი, პაპის ბიბლიური კომისიის ყოფილი მდივანი, ასევე. რომის კურიიდან (მოქმედი წესების თანახმად, კარდინალის ხარისხი შესაძლებელია მღვდელსაც ებოძოს, ოღონდ კონსისტორიის წინ ის ეპისკოპოსად უნდა აკურთხონ); გაუდენსიო ბორბონ როსალესი, მანილის (ფილიპინები) მთავარეპისკოპოსი; პიტერ პრეკუ დერი, ტემალეს (განა) ყოფილი მთავარეპისკოპოსი; სტანისლავ ჯივიში, კრაკოვის (პოლონეთი) მთავარეპისკოპოსი, (სტანისლავ ჯივიში იოანე პავლე II-ის პირადი მდივანი იყო); ანტინიო კანისარეს ლიოვერა, ტოლედოს (ესპანეთი) მთავარეპისკოპოსი; კარლო კაფარა, ბოლონიის (იტალია) მთავარეპისკოპოსი; ანდრეა კორდერო ლანცა დი მოტეძემელო, ტუსკანიის სატიტულო მთავარეპისკოპოსი, წმიდა საყდრის ყოფილი დესპანი იტალიაში; უილიამ ჯოზეფ ლევადა, სარწმუნოების მოძღვრების კონგრეგაციის პრეფექტი, მთავარეპისკოპოსი რომის კურიიდან; შონ პატრიკ ო'მეილი, ბოსტონის (აშშ) მთავარეპისკოპოსი; ჟან-პიერ ბერნარ რიკარი, ბორდოს (საფრანგეთი)

მთავარეპიკოპოსი; ფრანც როდე, სლოვენიის მკვიდრი, ბერმონაზვნულ საზოგადოებათა კონგრეგაციის პრეფექტი, მთავარეპისკოპოსი რომის კურიიდან; ხორხე ლიბერტანო ურუსა სავინო, კარაკასის (ვენესუელა) მთავარეპისკოპოსი; იოსებ ძენ ძე-კიუნი, ჰონკონგის (ჩინეთი) მთავარეპისკოპოსი (ჩინეთი საკმაოდ მწვავედ შეხვდა ამ ფაქტს); ნიკოლოზ ჩონ ჯინ სუკი, სეულის (სამხრეთ კორეა) მთავარეპისკოპოსი, ფხენიანის (ჩრდილოეთ კორეა) სამოციქულო ადმინისტრატორი.

15 ახალი კარდინალიდან 12 ჯერ არ არის 80 წლისა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ კონკლავის – პაპის არჩევნების – დროს ხმის მიცემის უფლება აქვთ (პავლე VI-ის მიერ დაწესდა, რომ 80 წელს გადაცილებულ კარდინალს ხმის მიცემის უფლება ერთმევა). დღეისათვის კარდინალთა კოლეგია 193 წევრს ითვლის, ამ შემადგენლობიდან მომავალი პონტიფექსის არჩევნებისას კენჭისყრაში მონაწილეობა ოდენ 120-ს შეუძლია. კარდინალთა უდიდესი ნაწილი ევროპიდანაა – 100. თუმცა, ხმის მიცემის უფლებით მხოლოდ 60 მათგანი სარგებლობს; ლათინური ამერიკა 20 ამომრჩეველი კარდინალითაა წარმოდგენილი, ჩრდილოეთი ამერიკა – 16-ით, 13 – აზიიდანაა, 9 – აფრიკიდან, ხოლო ავსტრალიასა და ოკეანიას 2 ამომრჩეველი კარდინალი ჰყავს.

კარდინალთა კონსისტორიას სიტყვის ლიტურგიის ფორმა აქვს. ლიტურგიული მისალმების შემდეგ ბენედიქტე XVI-მ ხარისხში აღყვანების ფორმულა წამოთქვა და ახალი კარდინალები საზეიმოდ დაასახელა. ამის შემდეგ არქიეპისკოპოსმა უილიამ ჯოზეფ ლევადამ, სარწმუნოების მოძღვრების კონგრეციის ამჟამინდელმა პრეფექტმა (სწორედ ეს თანამდებობა ეკავა წმიდა მამას, სანამ იგი ქრისტეს ეკლესიის ხილული მეთაური გახდებოდა), კარდინალთა სახელით მადლობის სიტყვები უძღვნა პონტიფექსს.

სახარების წაკითხვის შემდეგ ბენედიქტე XVI-მ ქადაგება წარმოთქვა. მან ახალ კარდინალებს ასე მიმართა: "თქვენი ახალი წოდებისა და მოწოდების საზრისი სწორედ ის სიტყვაა, რომელიც ჩემი პირველი ენციკლის სათაურშია – caritas – სიყვარული. ეს სიტყვა შესანიშნავად ეხამება კარდინალის სუტანის მეწამულ ფერს. დაე, ეს მეწამული ფერი, რომლითაც თქვენ ახლა შეიმოსეთ, მუდამ ყოფილიყოს თქვენთვის caritas Christi-ს – ქრისტეს სიყვარულის – გამომხატველი; სწორედ ამგვარი სიყვარულით გიყვარდეთ ქრისტე, ქრისტეს ეკლესია და კაცობრიობა!"

ცვლილებები რომის კურიაში

კონსისტორიამდე ათიოდე დღით ადრე, 13 მაისს, ბენედიქტე XVI-მ რომის კურიაში თავისი პირველი რეორგანიზაცია ჩაატარა. პონტიფექსის გადაწყვეტილების თანახმად, მიგრანტთა და მოგზაურთა სულიერი დამწყემსვის პაპის საბჭო და კიდევ ერთი პაპის საბჭო – სახელწოდებით "სამართლიანობა და მშვიდობა" – ერთმანეთს შეურთდა. ორივე ერთ დიკასტერიად ჩამოყალიბდა. ამ დიკასტერიას კარდინალი რენატო მარტინო უხელმძღვანელებს, რომელიც აქამდე "სამართლიანობისა და მშვიდობის" საბჭოს ედგა სათავეში. ასევე, რელიგიათაშორისი დიალოგის პაპის საბჭო დროებით კულტურის საკითხთა პაპის საბჭოს შეურთდა, რომლსაც კარდინალი პოლ პუპარი მეთაურობდა. პუპარივე გაუძღვება ამ ახალ წარმონაქმნსაც. შესაბამისად, პაპის იმავე გადაწყვეტილების თანახმად, კურიაში ორი მაღალი თანამდებობა გაუქმდა. ბენედიქტე XVI-მ უკვე დაამტიკიცა კარდინალ სტეფანე ფუმიო ჰამაოს გადადგომა (ჰამაო ხელმძღვანელობდა მიგრანტთა და მოგზაურთა სულიერი დამწყემსვის პაპის საბჭოს), ხოლო მთავარეპისკოპოსი მაიკლ ფიცჯერალდი, რელიაგიათაშორისი დიალოგის პაპის საბჭოს აწ უკვე ყოფილი მეთაური, ევგვიპტეში სამოციქულო დესპანის მოვალეობას შეასრულებს.

საბჭოთა კავშირი – იოანე პავლე II მკვლელობის დამკვეთი

2 მარტს იტალიის საპარლამენტო კომისიამ, რომელიც 1981 წლის 13 მაისს იოანე პავლე II-ზე თავდასხმის ფაქტს განმეორებით იძიებდა, იტალიის უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს კვლევის საბოლოო შედეგები წარუდგინა. როგორც ცნობილია, მეჰმედ ალი აღჯას დაპატიმრების შემდეგ გამოძიებამ ეჭვმიტანილის სტატუსით დააკავა ბულგარეთის სახელმწიფო ავიაკომპანიის თანამშრომელი სერგი ანტონოვიც. მაშინ ანტონოვის ალიბი ურყევი აღმოჩნდა – ანტონოვი აცხადებდა, რომ თავდასხმის დღეს ის საკუთარი ოფისიდან არ გასულა. ამჟამინდელმა გამოძიებამ სრულიად ახალი მასალა მოიპოვა – ფოტოსურათი, სადაც ანტონოვი სწორედ 13 მაისს წმ. პეტრეს მოედანზეა აღბეჭდილი. საპარლამენტო კომისიის საბოლოო დასკვნის თანახმად, იოანე პავლე II-ზე თავდასხმაში სამი ქვეყნის – საბჭოთა კავშირის, ბულგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის – სპეცსამსახურები მონაწილეოდნენ.

კომიისიის კვლევის შედეგებმა საკმაოდ მტკივნეული რეაქცია გამოიწვია რუსეთში. უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის (კგბ) ყოფილმა მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ გამოძიება არაობიქტური იყო და რომ ყოველივე ეს სერიოზულად დაძაბავს ორი ქვეყნის (რუსეთისა და იტალიის) მომავალ ურთიერთობას.

კიდევ ერთი მარტვილი

22 მარტს ინდოეთის გოას შტატის ქალაქ მაქაზანეში ბოროტქმოქმდებმა მოკლეს 61 წლის წმ. ფრანსისკე ქსავერიელის სახელობის ეკლესიის მღვდელი მამა ეუსებიო ფერანი. მამა ეუსებიო სამრევლო სახლის შენობაში ბალიშით მოგუდული იპოვეს. პოლიციის მიერ უმალვე დაკავებული ორივე ბოროტმოქმედი ადგილობრივი მაცხოვრებელი აღმოჩნდა, რომელთაც მღვდელი სამუშაო ადგილის მოპოვებაში ეხმარებოდა. მამა ეუსებიომ ისინი ვახშმად მიიპატიჟა და სამრევლო სახლში ღამის გათევა შესთავაზა. სწორედ ამის შემდეგ დატრიალდა ტრაგედია. ბოროტმოქმედებმა თავიანთი საქციელი ალკოჰოლის გავლენით ახსნეს.

მღვდლის დასაფლავებაზე მის მშობლიურ სოფელ ჩინჩინიმში (პორტუგალია) 8 000 კაცმა მოიყარა თავი.

იოანე პავლე II-ის პირველი სასწაული

გასულ თვეში იოანე პავლე II-ის ბეატიფიკაციის ტრიბუნალი გარდაცვლილი პონტიფექსის პირველი სასწაულის ოფიციალურ გამოკვლევას შეუდგა. საქმე ეხება 2005 წლის ივნისში ფრანგი მონაზვნის პარკინსონისაგან განკურნებას (ეს სწორედ ის დაავადებაა, რომელმაც პონტიფექსი მარტვილად აქცია). მონაზვნის სახელი, ასაკი, მონასტერი, სადაც ის აღკვეცილია, ჯერ-ჯერობით არ ხმაურდება.

იოანე პავლე II-ის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მონასტრის წინამღვარმა ავადმყოფ დას და ყველა დანარჩენ მონაზონს სთხოვა, ელოცათ გარდაცვლილი პონტიფექსის სახელზე. ზუსტად ორი თვის თავზე, 2005 წლის ივნისის დასაწყისისათვის ავადმყოფს პარკინსონის დაავადების ყველა ნიშანი გაუქრა. ექიმების დიაგნოზის თანახმად, ის სავსებით ჯანმრთელია.

იოანე პავლე II-ის ბეატიფიკაციის პროცესის ოფიციალური პოსტულატორი სლავომირ ოდერი აღნიშნავს, რომ ფრანგი ექიმები მეცნიერულად ვერ ხსნიან

მონაზვნის გამოჯანმრთელების ფაქტს, რაც სასწაულის გამოკვლევის დაწყების საფუძველია.

იაკობ დუმბაძე

(რუბრიკა) **კათოლიკე ეკლესია საქართველოში**

არალი – კათოლიკური რწმენის ურყეობის სიმბოლო

16 წლის წინათ, 1990 წლის 19 მარტს, არალის წმ. იოსების სახელზე ნაკურთხ ეკლესიაში, ხანგრძლივი იძულებითი ინტერვალის შემდეგ, პირველად, საზეიმოდ აღევლინა წმიდა წირვა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, XX საუკუნის 80-იან წლებში, საბჭოთა კავშირში არალი იყო გამორჩეული სოფელი, რომლის მორწმუნეებმა მოიპოვეს უფლება, სახელმწიფო რეგისტრაციაში გაეტარებინათ და ოფიციალურად აემოქმედებინათ ლათინური წესის კათოლიკე მორწმუნეთა საკრებულო და შეძლეს დაებრუნებინათ 30-იან წლებში ჩამორთმეული წმ. იოსების სახელობის საეკლესიო ნაგებობა. სამხრეთ საქართველოს საზღვრისპირა სოფლის მორწმუნე კათოლიკეთა მცირე ჯგუფმა თავისი პრინციპულობითა და მიზანდასახულობით მიაღწია იმას, რასაც იმ დროს ვერ ახერხებდნენ საბჭოთა კავშირის ვერც ერთ რესპუბლიკასა თუ რეგიონში. ეს თავდადება და ერთგულება არ უნდა იყოს დავიწყებული!

მართალია, ამ ეკლესიის აღდგენის ძნელ და ხანგრძლივ საქმეში მონაწილეთაგან არავინ ყოფილა რეპრესირებული, მაგრამ მათ საკმაო სიძნელეები და შეჭირვებანი გადაიტანეს: იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა, სხვა ცდუნებანი, მაგრამ დასახული მიზნის მისაღწევად არჩეული სამართლებრივი გზიდან არავის გადაუხვევია. არალის ეკლესიის რეგისტრაცია იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ რწმენის ერთგულებას მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის გადალახვა ძალუძს და ეს მაგალითი შეგონება უნდა იყოს ყველასათვის.

80-იანი წლების ბოლომდე სამცხე-ჯავახეთის ხუთი რაიონი, სავიზო რეჟიმის გამო, ჩაკეტილი იყო თავისუფალი გადაადგილებისათვის (ამ ფაქტორს ერთი დადებითი მხარე ჰქონდა: რეგიონში მეტად დაბალი იყო კრიმინოგენული ვითარება); მიზეზად საზღვრის სიახლოვე, კაპიტალისტურ სამყაროსთან, ნატოს წევრ ქვეყანასთან გამმიჯნავი სახელმწიფო საზღვარი სახელდებოდა, თუმცა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებიდან ბევრად უფრო თავისუფლად ხდებოდა მოქალაქეთა გადაადგილება და, ცხადია, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები. ამიტომაც, იზოლაციაში მყოფ მესხეთის ქართულ მოსახლეობასთან კულტურული კონტაქტების გაფართოებას რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელისუფლება მოსკოვის გვერდის ავლით ცდილობდა სხვადასხვა, შენიღბული, ეროვნული პროექტების განხორციელებით: განახლებული მესხეთის თეატრი და მასზე ზრუნვა, ჯგუფების სისტემატური გაგზავნა ეროვნულ თემატიკაზე სასაუბროდ და ეროვნული სულისკვეთების განმტკიცების მიზნით, და არა იმდენად რელიგიური მოსაზრებებით; მესხეთის რაიონებში თითო-ოროლა ეკლესიის ამოქმედება. ამ იდეას, სხვათა შორის, კომპარტიის ადგილობრივი მდივნებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ. ასე გაიხსნა 80-იანი წლების მიჯნაზე ახალციხის წმიდა მარინეს მართლმადიდებლური ეკლესია. იდეაში იყო სხვა რაიონების ეკლესიების ამოქმედებაც, თუმცა ეს საკმაოდ რთული გახლდათ. რეგიონში მოსახლეობის (მართლმადიდებელი) რელიგიურობის ანალიზი აჩვენებდა, რომ ყველაზე მეტ აქტიურობას რომის კათოლიკე ეკლესიის მიმდევრები იჩენდნენ. ადიგენში, ახალციხეში, ახალქალაქში ათზე მეტი არარეგისტრირებული ეკლესია

(საკრებულო) მოქმედებდა. მორწმუნეთა მიერ ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით გარემონტებულ საეკლესიო ნაგებობებში სისტემურად მიმდინარეობდა ლოცვები... რეგიონში მყოფი ერთადერთი კათოლიკე მღვდელი მამა იოსებ კორნაშევსკი კი ისეთი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა (მიუხედავად მის წინააღმდეგ მიმართული სამმხრივი – ხელისუფლების, ქართული მართლმადიდებლური და სომხური ეკლესიების მხრიდან – ზეწოლისა), რომ დღესაც ბევრ ეპისკოპოსს შეშურდება. არარეგისტრირებული მოქმედი კათოლიკური ეკლესიები ძირითადად ეთნიკურად არაქართული მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში აქტიურობდნენ; ეს იმით აიხსნება, რომ ქართველი კომუნისტები მკაცრ ანტირელიგიურ პოლიტიკას მხოლოდ ქართველი კათოლიკეების მიმართ ახორციელებდნენ. რაც შეეხებათ არაქართველ კათოლიკეებს, მათ ნაციონალიზმის ბრალდების შიშით, არ დევნიდნენ. ამას კარგად გრძნობდა არაქართველი მოსახლეობა (იუდეველების გარდა, რომლებიც არანაირ პრობლემებს არ უქმნიდნენ ხელისუფლებას) და თავის სასარგებლოდ იყენებდა კიდეც. ქართველი კათოლიკეები კი ორმაგად დაჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ქართული სოფლებიდან ქრისტიანული რწმენისადმი განსაკუთრებული ერთგულებით სოფელ არალის მორწმუნე კათოლიკეები გამოირჩეოდნენ. არალში ორი საეკლესიო ნაგებობა არსებობს: წმიდა იოსების სახელობის მცირე ზომის ტაძარი, რომელიც XIX საუკუნეშია აგებული და ცარიზმის დროის ტიპური მესხური კათოლიკური საეკლესიო ნაგებობაა და მიწური სამლოცველო, რომლის არქიტექტურას და ინტერიერს ოსმალების განუკითხავი ბატონობის დროინდელი გავლენა დაჰკრავდა. მცირე სამლოცველოში, კომუნისტური რეჟიმის დროს, არც ერთი დღით არ შეწყვეტილა კათოლიკეთა ლოცვები. ადრე დილიდან გვიან საღამომდე სამლოცველოში მუდმივად იყვნენ მლოცველები: ქალები, ბავშვები, მამაკაცები, რაც მართლაც უნიკალური შემთხვევაა მთელ საქართველოში და, ალბათ, არა მხოლოდ საქართველოში. სახელმწიფოს ანტირელიგიური კამპანიის პირობებში, როდესაც კათოლიკე ეკლესიები ყველაზე მკაცრ ზეწოლას განიცდიდნენ და კათოლიკე მღვდლებს სახელმწიფო მოხელეები და სხვა კონფესიის წარმომადგენლები „ვატიკანის ჯაშუშებს“ უწოდებდნენ და ყველა ხერხით ცდილობდნენ მათ შეზღუდვას, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეეძლო დაკეტილ საეკლესიო ნაგებობაში ლოცვისთვის შესული მორწმუნე დაეპატიმრებინა (პირად შეურაცხყოფასა და მუქარაზე აღარაფერს ვამბობ, რისი მომსწრე პირადად ვარ სოფელ უდეში), არალის მორწმუნეები, უკლებლივ ყველანი, და არა მხოლოდ დიდი დღესასწაულების დროს, არამედ ყოველ რიგით დღეს, „სავარდის“ ლოცვებით და „ლიტანიებით“ ადიდებდნენ მათთვის ჯვარცმულ მაცხოვარს და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს. მსგავსი თავდადება, ქრისტიანობისადმი ერთგულება, კათოლიკური ტრადიციების ერთგულება არ შეიძლებოდა უკვალოდ გამქრალიყო, და ასეც მოხდა. არალის წმიდა იოსების სახელზე აგებული ტაძარი, 1989 წელს საქართველოს მთავრობის წარდგინებით, მოსკოვმა რეგისტრაციაში გაატარა და საჯაროდ არსებობის ყველა უფლება მიანიჭა, ხოლო ადიგენის ადგილობრივმა ხელისუფლებამ 50 წლით ადრე ჩამორთმეული საეკლესიო ნაგებობა მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობაში თავის კანონიერ მესაკუთრეს, არალის კათოლიკე მრევლს, დაუბრუნა. ასე რომ არალის ეკლესია გახდა ადიგენში პირველი, ხოლო საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით მესამე კათოლიკური ეკლესია, ტურცხისა და ვალეს კათოლიკური ეკლესიების შემდეგ, რომელიც რელიგიების საქმეთა საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა. მიუხედავად არლელთა პრინციპულობის, დაჟინების, მონდომების და თუნდაც სიჯიუტის (კარგი გაგებით) და, რაც მთავარია, რწმენის სიმტკიცისა არალის ეკლესიის რეგისტრაცია, ვალესა და ტურცხის ეკლესიების

რეგისტრაციის შემდეგ, ერთი წლით დაგვიანდა. მახსოვს არლელ მორწმუნეთა ლიდერის ელია (ილია) ვარდიძის სიხარულითა და, ამავე დროს, სევდით აღვსილი თვალები, როდესაც 1989 წლის 8 სექტემბერს ვალეს ტაძრის ოფიციალურ გახსნაზე ვიმყოფებოდით. იმხანად არალის ეკლესიის რეგისტრაციის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, თუმცა ელია ვარდიძე ეკლესიის რეგისტრაციის შესახებ თხოვნით ადიგენის რაიაღმასკომის თავმჯდომარიდან, ტრისტან პეტაშვილიდან დაწყებული და მიხაილ გორბაჩოვით დამთავრებული, ყველა სახელისუფლებო ინსტანციას ხუთი წლის განმავლობაში სუბორდინაციის სრული დაცვით მიმართავდა. ვალეს ეკლესიის გახსნის დღეს ელია ვარდიძემ თავი ცოტათი ფილმ „აბეზარას“ მთავარი გმირის ადგილზე წარმოიდგინა (რომელიც შეიტყობს, რომ მისი გულმოდგინების მეშვეობით აშენებულ ბინაში სხვა შეასახლეს), მაგრამ ეს მცირე ხანს გაგრძელდა. 1990 წლის 19 მარტს, არალის ტაძრის დღესასაწაულზე წმ. იოსების სახელზე აღვლენილი წმიდა წირვა (რომელშიც თეთრ სტიქარში შემოსილი ელია ვარდიძეც მონაწილეობდა) საზეიმოდ აღესრულა მორწმუნეებით გადაჭედილ ტაძარში.

მართლაც, შეუფასებელია არლელი მორწმუნეების და პირადად ელია ვარდიძის როლი საბჭოურ სინამდვილეში კათოლიკური ეკლესიების ოფიციალურად ამოქმედების პროცესში. XX საუკუნის 80-იან წლებში თვით ექვს მილიონიანმა უკრაინელმა ბიზანტიური წესის კათოლიკურმა მრევლმაც, მიუხედავად თავისი ფართომასშტაბიანი აქციებისა, ვერ შეძლო ვერც ერთი სასოფლო ტაძრის ამოქმედება, თუმცა ასობით უკრაინელი კათოლიკე მოსკოვში შიმშილობის აქციებს აწყობდა. მხოლოდ ელია ვარდიძემ და სხვა არლელმა მორწმუნე კათოლიკეებმა, მამა იან სნეჟინსკის და მამა იოსებ კორნაშევსკის სულიერი ხელმძღვანელობით და ხელისუფლებაში მყოფი ცალკეული გულშემატკივარი მამულიშვილების დახმარებით შეძლეს ხუთწლიანი მედგარი ბრძოლა წარემართათ საბჭოთა ბიუროკრატიის წინააღმდეგ და თავიანთი კონსტიტუციური უფლება დაეცვათ (საბჭოთა კანონით, 20 მორწმუნეს უფლება ჰქონდა, გაეხსნა რელიგიური ორგანიზაცია და ეკლესიაც აემოქმედებინა).

არალის კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ამოქმედება 1987 წელსაც იყო შესაძლებელი, მაგრამ სუბიექტურმა მოვლენებმა ხელი შეუშალა ამ ფაქტს. თბილისშიც და ადიგენშიც ხელისუფლების წარმომადგენლები გეგმავდნენ ქართული ქრისტიანული ეკლესიის ამოქმედებას, ამას, ვიმეორებ, სუფთა პრაგმატულ-ეროვნული მოტივი ედო საფუძვლად. ქართული ეკლესია (ეს იმ პერიოდის ტერმინია) გაიხსნებოდა იმ სოფელში, საიდანაც ამის მოთხოვნა იქნებოდა და სადაც კარგ მდგომარეობაში მყოფი და მხატვრული ღირებულებით გამორჩეული ტაძარი იყო. ზარზმაზე არჩევანი ვერ შეჩერდა იმ მიზეზის გამო, რომ სოფელ ზარზმის მოსახლეობას ამის სურვილი არ ჰქონდა. რჩებოდა არალისა და უდეს კათოლიკური ეკლესიები. ორივე სოფელში იყო მორწმუნეთა მოთხოვნა ეკლესიის ოფიციალურად ამოქმედების შესახებ, მაგრამ ერთდროულად ორ, ისიც კათოლიკურ ეკლესიას მოსკოვი არავითარ შემთხვევაში არ გაატარებდა რეგისტრაციაში, ამიტომ დიდი ფიქრისა და ანალიზის შემდეგ, არჩევანი უდეს ტაძარზე შეჩერდა, იმ ერთადერთი მოსაზრებით, რომ უდე ხუთჯერ მეტად მრავალრიცხოვანი სოფელი იყო, ვიდრე არალი, და მისი ეკლესიაც ყველაზე გამორჩეული კათოლიკური ნაგებობა იყო მთელი კავკასიის მასშტაბით (ცხადია, სოფლის ეკლესიები იგულისხმება), თანაც უდეს ეკლესია აშკარა ტოლერანტობის სიმბოლო იყო, რადგან მის აგებაში, ქართველ კათოლიკეებთან ერთად, მართლმადიდებელი და მუსლიმი თანასოფლელებიც იღებდნენ მონაწილეობას.

უდეს ეკლესიის ამოქმედებას რაიონის ხელმძღვანელობაც უფრო უჭერდა მხარს, რადგანაც მათი უმრავლესობა სწორედ ამ სოფლის მკვიდრი იყო. რაიკომის მდივანიც სიხარულით დაეთანხმა უდეს ეკლესიის ამოქმედებას (თუმცა იგი

ათეისტი იყო), რადგან მას უნდოდა, რაიონში კულტურის კერა გახსნილიყო და უდეს ეკლესიაში საორგანო დარბაზის მოწყობაზე ოცნებობდა. 1987 წლის გაზაფხულზე დაიწყო პროცესი უდეში ეკლესიის ამოქმედებისათვის, ხოლო არალის ეკლესიის ოფიციალური გახსნა, მით უმეტეს, რომ იქ არაოფიციალურად ეკლესია ისედაც მოქმედებდა, უახლოესი მომავლისათვის გადაიდო. მაგრამ ცოტა ხანში, სხვა კონფესიის წარმომადგენელთა გააქტიურების შედეგად, უდეს მრევლში უთანხმოებამ იჩინა თავი, მათ პრინციპულობა ვეღარ გამოიჩინეს და სუბიექტური მომენტების ზეგავლენით საკუთარი ეკლესია სხვა კონფესიის მღვდელს ჩააბარეს. თავიდან იყო უდიდესი სურვილი და, ასევე, შეთანხმებაც, რომ ტაძარში კათოლიკური წირვები ჩატარდებოდა. შემდეგ სიტუაცია შეიცვალა, ამიტომ ზოგიერთი კომპრომისულ ვარიანტზეც მიდიოდა, ე. ი. მორიგეობით ჩატარებულიყო წირვები, ზოგიც, საერთოდ ახალი, ინტეგრირებული ქართული ქრისტიანული მსახურების მომხრე იყო, ზოგიც, ალბათ, ქართულ-უნიატურ (ეს ალბათ, უფრო მისაღები ვარიანტი შეიძლებოდა ყოფილიყო უდელებისათვის) მსახურებას უჭერდა მხარს. შედეგი კი უდელი კათოლიკეებისათვის სავალალო აღმოჩნდა, თუმცა გონიერი კომპრომისი შესაძლებელი იყო. უდეში არის საკმაოდ ძველი მართლმადიდებლური ეკლესიაც, რომლის ამოქმედება, კათოლიკური ეკლესიის პარალელურად, შეიძლებოდა, მაგრამ რატომღაც ამ სამართლიან ვარიანტს არავინ დაუჭირა მხარი.

წართმეული ეკლესიის ნაცვლად უდელმა კათოლიკეებმა ერთი ახალი ეკლესია (მცირე ზომის ეკლესია, რომელიც 1998-2000 წ.წ-ში სოფლის მკვიდრის ვანო მამუკაშვილის ინიციატივითა და, ძირითადად, მისივე სახსრებით აიგო) და ერთი სამლოცველო სახლი (პირდაპირებში) ააგეს, მაგრამ მაინც სევდიანად გაურბით თვალი თავიანთი ძველი, მამა-პაპის მიერ აგებული ეკლესიისაკენ, რომელიც საკუთარი უპრინციპობის გამო დაკარგეს და, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ოცი წელია მოქმედებს, მორწმუნეებით არ ივსება. ხოლო როდესაც, ახალციხიდან უდესაკენ მიმავალნი, გზად არალის ეკლესიას ამოუვლიან, ხედავენ, როგორ მშვენდება სულიერებაში და როგორი ხალხმრავალია არლელთა სულიერი სავანე და რა ამაყად მიაბიჯებენ ეკლესიისაკენ მიმავალ გზაზე არლელი კათოლიკეები, რომლებსაც დიახაც აქვთ სიამაყის უფლება, რადგან უმძიმეს წლებში შეინარჩუნეს საკრებულო, შეინარჩუნეს საეკლესიო ნაგებობა, თავიანთი პრინციპულობით მიაღწიეს მის ამოქმედებას, არ შეეპუენ არავის, არც 1987 წელს მათ ეკლესიაში მისულ მართლმადიდებელ სასულიერო იერარქებს და დაიცვეს ლათინური წესის კათოლიკეთა რწმენა, მიაღწიეს, რომ მათ სოფელში მუდმივად ყოფილიყო მღვდელმსახური. დღეს ამ მისიას არალში წარმატებით ასრულებს პრელატი იეჟი შიმეროვსკი. მათი სოფლის მკვიდრი პაატა ქომოშვილი უახლოეს მომავალში მღვდლის ხარისხში მოევლინება საქართველოს კათოლიკე ეკლესიას და, ვიმედოვნებთ, ღირსეულად გააგრძელებს დიდი არლელი სასულიერო მოღვაწის, არაერთგზის რეპრესირებული მღვდლის, ემანუელ ვარდიძის ტრადიციებს. და არ უნდა იყოს მივიწყებული ამაგი ელია ვარდიძისა, ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელის მქონე ერთი უბრალო არლელი ჩია კაცისა, რომელიც წმიდა იოსების ეკლესიის მახლობლად ცხოვრობდა, შრომობდა ბოსტანში, უვლიდა დაკეტილ ეკლესიას, თვეში ერთხელ კი ჩაიცვამდა სამამულო ომის ორდენებით დამშვენებულ, გაცვეთილ პიჯაკს, რვეულის ფურცელზე დაწერილი განცხადებით კარდაკარ ჩამოივლიდა, შეაგროვებდა ხელმოწერებს და მამა იანის ლოცვა-კურთხევით დედაქალაქისაკენ გაეშურებოდა, რათა „უძრაობით“ მიძინებულ ინსტანციებში თავისი და სხვათა სიმართლე მოეძია. მან პირნათლად მოიხადა თავისი ამქვეყნიური მისია.

შენ კი, არალო, დარჩები საქართველოში კათოლიკე ეკლესიისადმი ერთგულების სიმბოლოდ და სამაგალითო იქნება არლელ მორწმუნეთა სულიერი

სიმტკიცე და სიყვარული ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის მიმართ!

ნუგზარ ბარდაველიძე

მამა ემანუელ ვარდიძე
(ძმისშვილის მოგონებანი)

ბავშვობიდან მესმოდა ოჯახში საუბარი "ბატონი პაპას" შესახებ. ასე გამაცნო ბებიამ კედლიდან მომზირალი, მკაცრი გამომეტყველების მოხუცი, წარწერით: "შენ ხარ მღვდელი, საუკუნოდ, მელქისედეკის წესით". თავიდან ცოტა უცნაურად მომეჩვენა, თუ პაპაა, ბატონს რატომ ეძახიან მეთქი. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს უდიდესი მოწიწების და პატივისცემის ნიშანი იყო მამა ემანუელ ვარდიძის მიმართ. ბებია ხშირად მიყვებოდა სახელოვანი ბიძის შესახებ, მეც უფრო და უფრო მაინტერესებდა და ბევრ შეკითხვას ვუსვამდი. ქვემოთ მინდა შემოგთავაზოთთ ბებიაჩემის, *სალომე ვარდიძის*, მოგონებანი მამა ემანუელ ვარდიძის შესახებ.

მამაჩემს ორი ძმა მღვდელი ჰყავდა, ხოლო ერთი და – მონაზონი. უფროსმა – ალიოზმა სომხური წესი აირჩია. მან ცხოვრების ბოლო წლები ხიზაბავრაში გაატარა, სადაც რეპრესიების დროს დაიჭირეს და გადაასახლეს.

უმცროსი და-ძმა, პეტრე (მღვდლობაში ემანუელი) და მაკა, ჯერ კიდევ მცირეწლოვანნი, ბიძამ კონსტანტინოპოლის (სტამბულის) ქართველ კათოლიკეთა მონასტერში წაიყვანა სასწავლებლად. პეტრემ თავიდანვე დიდი ნიჭი და სიბეჯითე გამოამჟღავნა. ამავე მონასტერში დაამთავრა სემინარია, ხოლო შემდეგ რომში განაგრძო სწავლა. 23 წლის ემანუელი მღვდლად აკურთხეს რომის წმიდა ანსელმის აკადემიაში. ამ დროისათვის მან მიიღო ლიცენციატის ხარისხი, რაც შეესაბამება ღმრთისმეტყველების მაგისტრის ტიტულს, იგი იყო პოლიგლოტი – ფლობდა ცხრამეტ ენას. რამდენიმე წელი იგი სტამბულში მუშაობდა, 1914 წლიდან კი თბილისის ღმრთისმშობლის აღყვანების ეკლესიის მოძღვრად დაინიშნა. 1921 წელს, დონ მიხეილ ანტონაშვილის (ანტონოვის) გარდაცვალების შემდეგ მამა ემანუელი თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულების ეკლესიის წინამძღვარი გახდა და ამ დროიდან ამიერკავკასიის კათოლიკეთა ვიზიტატორია.

საბჭოთა რეჟიმის დროს იგი ექვსჯერ დააპატიმრეს. რწმენაში მისი სიმტკიცე და შეუპოვრობა საშიში იყო საბჭოთა რეჟიმისათვის და სწორედ ამიტომ სდევნიდნენ მას სგანსაკუთრებული სისასტიკით. 1936 წელს მამა ემანუელი გადაასახლეს ყარაგანდაში, უმკაცრესი რეჟიმის კოლონიაში. იქ მასთან ერთად იმყოფებოდა ალექსანდრე ზუბალაშვილიც, რომელმაც ამ რეჟიმს ვერ გაუძლო და მამა ემანუელის ხელებში დალია სული. მას არასოდეს უდალატია თავისი საქმისათვის. ყოველ დილით ერთ ბნელ კუთხეში ჩუმად შეკრებდა ხოლმე პატიმრებს და წირვას აღავლენდა.

ბიძაჩემის დაპატიმრებიდან ხუთი წლის შემდეგ წერილი მოგვივიდა: „უკვე გამათავისუფლეს და მალე დავბრუნდები". მაგრამ კარგა ხანს იგი მაინც არ გამოჩნდა. მამაჩემი შორეულ ყარაგანდაში გაემგზავრა ძმის ამბის გასაგებად, მაგრამ ამაოდ. იქიდან იგი დიდი ხნის წამოსული დახვდა. თითქმის ყველა იმედი გადაგვეწურა, ვიფიქრეთ, ალბათ, უბედური შემთხვევის მსხვერპლი თუ გახდაო. თერთმეტი თვე გავიდა მისი გაუჩინარებიდან და მოულოდნელად გამოჩნდა წვერმოშვებული, ნაწამები სახით, საკუთარ თავს ადარ ჰგავდა. გადასახლებიდან თბილისში დაბრუნებულს თურმე უნივერსიტეტში პროფესორად მუშაობა

შესთავაზეს, ოღონდ შენს საქმეზე ხელი უნდა აიღოო. მაგას არასოდეს დავთანხმდები, მირჩევნია, სადაც ვიყავი, იქ დამაბრუნოთო, – უთქვამს მას. სადღაც ჯურღმულში ჩაამწყვდიეს და ერთი წელი საშინელ წამებაში გაატარებინეს. ყოველ დღე მუხლებამდე წყალში აყენებდნენ და აიძულებდნენ უარი ეთქვა მღვდლობაზე. მაგრამ მისი რწმენა ვერ გატეხეს და ბოლოს თავი დაანებეს.

ამის შემდეგ მამა ემანუელი სიცოცხლის ბოლომდე წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიის წინამძღვარი იყო. იგი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

ყოველთვის, როცა მახსენდება, რომ ასეთი შეუპოვარი, რწმენისთვის თავდადებული პიროვნების შთამომავალი ვარ, გული სიხარულით და სიამაყით მევსება. მინდა, ყველას მოვუყვე მის შესახებ. მაგრამ, ამასთანავე, იმედი მაქვს, რომ მისნაირები ადამიანები არასოდეს მოაკლდება ეკლესიას!

ნატო ალავერდაშვილი

რათა აღარ იყოს ქრისტიანებს შორის მტრობა და შუღლი!

თანამედროვე მსოფლიოში არსებულ მრავალ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კონფესიათაშორისი ურთიერთობაა. საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანები, რომელთა შორის ისეთი მტრული დამოკიდებულება არ არსებობდა, როგორსაც დღეს ვხვდებით. ამ გაუცხოების მთავარი მიზეზი კი ქრისტიანობაში გაუცხოება და შიშია.

დღეს საქართველოს ყველა საინფორმაციო საშუალებით განუწყვეტლივ მიმდინარეობს საუბარი იმის შესახებ, რომ ქართველებისათვის მისაღები მხოლოდ მართლმადიდებლობაა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთ მოძღვართა აზრით, თუ მართლმადიდებელი არა ხარ, მაშინ არც ქართველი ხარ და ერის მოღალატედ ხარ მიჩნეული. ნუთუ მართლა მარტო მართლმადიდებლობაა ქართველი ხალხის სარწმუნოება?

ამჟამად, საქართველოში კათოლიკე ეკლესიაში ძირითადად უცხოელი მოძღვრები ემსახურებიან მრევლს (ქართველი კათოლიკე მოძღვრების სიმცირე, სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობაა, მაგრამ ეს გამოწვეულია კომინისტური რეჟიმის დროს ქრისტიანების, კერძოდ კი, კათოლიკეების განსაკუთრებული დევნა-შევიწროებით), რომლებიც არც პროზელიტიზმს ეწევიან და არც კონკურენციას უწევენ მართლმადიდებელ ეკლესიას, თუ სხვა რელიგიურ დაჯგუფებებს. ჩვენი სულიერი მოძღვრები მავანთაგან ხშირად ისმენენ შეურაცხყოფას: „დაბრუნდი შენს ქვეყანაში, ეს შენი სამშობლო არ არის!“

ძალზე მძიმე მდგომარეობში იმყოფებიან უდეში მცხოვრები კათოლიკეები. უხსოვარი დროიდან უდე ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) დიდი კათოლიკური სოფელი იყო, უმშვენიერესი კათოლიკური ეკლესიითა და ჭეშმარიტი მორწმუნეებით, დღეს კი შევიწროებული და დამცირებულია მართლმადიდებელთა მიერ. განსაკუთრებულ სულიერ ტკივილს განიცდიან ბავშვები, რომლებსაც მასწავლებლები მოუწოდებენ, მხოლოდ ის ლიტერატურა წაიკითხონ, რომლებსაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გამოსცემს. სკოლებში ისწავლება არა რელიგიის ისტორია, არამედ მართლმადიდებლური რელიგიის საფუძვლები. თუ მოსწავლე კათოლიკურად გამოისახავს პირჯვარს, ეუბნებიან, რომ ეს ცოდვაა და ცეცხლში დაიწვება. ბავშვებს კატეხიზაციაზე სიარულს უშლიან. მართლმადიდებელი მღვდლები მორწმუნე კათოლიკეებს ერის მოღალატეებს

უწოდებენ და ავრცელებენ ჭორებს, რომ კათოლიკობა ცოდვაა და სიკვდილის შემდეგ ისინი ჯოჯოხეთში მოხვდებიან. ხდება კათოლიკეთა ხელახალი „გადანათვლა“. უდელი კათოლიკეები განსაკუთრებით განიცდიან ეკლესიის წართმევას. ეკლესიიდან გაიტანეს კათოლიკური ხატები, საშობაო ფიგურები (პრეზეპე), სკამები. დღეს იმ მოხუცებს, რომლებიც ამ ეკლესიაში მოინათლნენ, აქ მიიღეს პირველი ზიარება და სხვა საიდუმლოებები, ეკლესიაში შესვლა და ლოცვა ეკრძალებათ. განა ამას რაიმე კავშირი აქვს ქრისტიანობასთან? თუ საქართველოში უმრავლესობას მართლმადიდებლები წარმოადგენენ და მეტი ძალა აქვთ, განა ეს უფლებას აძლევთ, რომ სხვისი ქონება მიისაკუთრონ? არავის აქვს უფლება, შეურაცხყოს სხვისი გრძნობები, მით უფრო ქრისტიანმა ქრისტიანისა. როცა კათოლიკეს ეკლესიას წაართმევ და შემდეგ დასცინი, სახლში ლოცულობენო, განა ეს არის ქართული მართლმადიდებლობა? ეს რელიგიაში გაუცნობიერებლობა და გაუნათლებლობაა. ალბათ, უკვე დადგა დრო, წერტილი დავუსვათ ამ უხერხულ მიზეზებს, რომ საბოლოოდ ერთმანეთს გადავეხვიოთ, ისევე, როგორც დღეს მორწმუნეები წმიდა წირვის დროს მშვიდობის ამბორს ვცვლით და ვამბობთ: „ქრისტე ჩვენს შორისაა“ და პასუხად ვიღებთ: „არის და იქნება“. მაგრამ სად არის ქრისტე ჩვენს შორის, თუკი ერთმანეთი გვძულს?

სათქმელი პეტრე მოციქულის სიტყვებით მინდა დავასრულო: „თქვენ უწყით, რომ იუდეველ კაცს ეკრძალება ურთიერთობა და დაახლოება უცხოტომელთან. მაგრამ მე მიჩვენა ღმერთმა, რომ არც ერთი ადამიანისთვის არ მეწოდებინა შებილწული ან უწმიდური. არამედ ყოველ ხალხში მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი სათნოა მისთვის“ (საქმ. 10:28, 35).

მარინა აღლემაშვილი
უდე

სალამი, ლიტვა!
მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენის მეთხუთმეტე წლისთავისადმი მიძღვნილი წმ. წირვა აღევლინა

შაბათს, 11 მარტს, საკათედრო ტაძარში, საქართველოში ლიტვის საელჩოსა და ლიტველთა სათვისტომოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ საზეიმო წირვა აღავლინა, რომელიც ბალტიის ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მე-15 წლისთავს მიეძღვნა.

ლიტვა ერთ-ერთი პირველი საბჭოთა რესპუბლიკა იყო, რომელმაც სამართლებრივი გზით მიაღწია ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენას. ლიტველთა, ისევე, როგორც ლატვიელთა და ესტონელთა შეუდრეკელი, გონივრული, გეგმაზომიერი, გაწონასწორებული ბრძოლა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ, მიუხედავად მრავალი აშკარა თუ ფარული რეპრესიისა, საბჭოთა რეჟიმმა ვერ ჩაკლა, – ვერ ჩაკლა მათში დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ სწრაფვა. ლიტველთა ბრძოლას მხარს უმაგრებდა კათოლიკე ეკლესია. 80-იან წლებში ლიტვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოღვაწე 100 კათოლიკე მღვდელიდან 100 პოლიტიკური მოტივით იყო დაპატიმრებული. მახსოვს პროგრამა „ვრემია“-თი ნაჩვენები სიუჟეტი, სადაც პოლიტპატიმარი ლიტველი კათოლიკე მღვდელი ციხის საკნიდან საჯაროდ აცხადებდა: „განთავისუფლების შემთხვევაში მე კვლავ განვაგრძობ საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლასო“.

ლიტველთა თავშეკავება და გონივრული ქმედება მართლაც მისაბაძი უნდა იყოს ყველასათვის. მოსკოვის სპეცსამსახურებმა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს პროვოკაციაზე წამოეგოთ ლიტველები, თუმცა განახორციელეს ვილნიუსის

ტელეცენტრის შტურმი „ომონის“ მიერ, ბელორუსიის საზღვარზე დახოცეს ლიტველი მებაჟეები.

საბჭოურ პერიოდშიც ლიტვა იმითაც გამოირჩეოდა მთელ სახელმწიფოში, იმითაც რომ კაუნასში იყო ყველაზე ძველი უნივერსიტეტი, რომ ვილნიუსში 60-იან წლებში აიგო ყველაზე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი მასივი, ვილნიუსსა და კაუნასს აერთებდა ყველაზე კეთილმოწყობილი ავტობანი, რომ კაუნასში ერთმანეთის სიახლოვეს იყო აგებული კათოლიკური, მართლმადიდებლური, პროტესტანტული ტაძრები, იუდაური სინაგოგა და ისლამური მეჩეთი. ლიტვა ცნობილი იყო კაუნასის სახელგანთქმული „ჟალგირისით“ – საპლანერო სპორტით, რომ კლაიპედასთან მდებარე ნიდას სანაპირო ზოლში იდგა თომას მანის სახლი და ლიტვა ყველას ანცვიფრებდა საკვირაო წირვის დროს ხალხით სავსე ტაძრებით, ყველგან ლიტვური საუბარი ისმოდა, თუმცა არალიტველი მოსახლეობა თითქმის მეხუთედს შეადგენდა. სამშობლოსა და ენის პატივისცემასთან ერთად, ხალხური სიძლიერე ფესტივალებშიც ჩანდა. ვილნიუსის ხალხური ფესტივალის დროს სამიათასკაციანი გუნდებიც კი ასრულებდნენ ლიტვურ სიმღერებს. ამასთანავე, ლიტველები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სხვა ხალხის დაფასებით. შემთხვევითი არ არის, რომ 1990 წელს „მის ლიტვის“ ტიტული ქართველმა გრეტა ბარდაველიძემ მოიპოვა.

მიუხედავად 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისისა, ლიტვა დღეს საკმაოდ განვითარებული ევროპული ქვეყანაა, – ევროკავშირის წევრი და ახლა ის საქართველოსაც ეხმარება ევროინტეგრაციაში.

ლიტვის დიასპორა თბილისში მეტად მცირერიცხოვანია, ასევე, მცირერიცხოვანია ქართული დიასპორა ლიტვაში, მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის კულტურული კავშირები ყოველთვის მჭიდრო იყო: ხდებოდა სტუდენტების გაცვლა, ლიტერატურის თარგმნა, იყო და არის შერეული ოჯახები, სადაც თავისუფლად ფლობენ ორივე ენას. თბილისის საკათედრო ტაძარში გამართული წმიდა წირვაც ამის ნათელი დადასტურება იყო.

ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ქართულად იქადაგა, რომელშიც ხაზი გაუსვა რწმენის როლს ერების განვითარებაში. ღმრთისმსახურებისას მან ლოცვა აღავლინა ლიტვისა და ლიტველებისათვის. მსახურების ბოლოს ლიტვურ ენაზე აღევლინა ვედრება ქვეყნის მფარველის, წმ. კაზიმირის, ლიტველთათვის ერთ-ერთი გამორჩეული და საყვარელი წმიდანის, მიმართ. იგი XVI საუკუნეში მოღვაწეობდა და ზოგიერთი დაუდგენელი ვერსიის მიხედვით, რუსმა ბერებმა მოწამლეს ეროვნული პოზიციის გამო.

დასრულდა წმიდა წირვა, თბილისური მზით განათებული ქუჩებით დაუბრუნდნენ ქართველი ლიტველები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას.

იმედი მაქვს, რომ 26 მაისს ლიტვის მართლმადიდებელ ტაძრებში ქართველები და ლიტველები საქართველოს დამოუკიდებლობის დღისათვის ილოცებენ. ყოველ შემთხვევაში, დეკანოზი იოსებ ზეთეიშვილი აუცილებლად აღავლენს ლოცვას საქართველოსათვის.

ნუგზარ ბარდაველიძე

ახალი იმედებით აღსავსე შეხვედრა

წეროვანის სულიერებისა და კულტურის ცენტრში „საბას“ კორესპოდენტები გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს

წარსული ზაფხულის შესვენების შემდგომ ძალამოკრებილი, გამშვენიერებული და ჟურნალად სახეშეცვლილი (შეიცვალა ჟურნალის

რედაქციაც) „საბა“ კიდევ უფრო საინტერესო და აქტუალური პუბლიკაციებით წარდგა მკითხველის წინაშე. სხვათა შორის, ბევრად გაიზარდა „საბას“ მკითხველის რაოდენობაც და სპექტრიც. კათოლიკე მრევლის გარდა, „საბას“ ინტერესით ეცნობიან სამთავრობო და არასამთავრობო წრეებშიც, სხვადასხვა კონფესიათა წარმომადგენლებიც და უცხოელებიც. 2007 წლიდან შესაძლებელი გახდება „საბაზე“ ხელმოწერაც.

ჟურნალ „საბას“ რედაქცია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს რეგიონების საკრებულოთა ცხოვრების გაშუქებას, ეს კი შეუძლებელია ადგილობრივ კორესპოდენტთა ქსელის შექმნისა და ოპერატიული ინფორმაციის სისტემატური მოწოდების გარეშე. გარდა ამისა, საკრებულოთა წინამძღვრებსაც, რომლებიც უაღრესად გადატვირთულები არიან სამოძღვრო საქმიანობით, სჭირდებათ დამხმარენი, რომლებიც ჟურნალის გავრცელების პრობლემას მოაგვარებენ და საკრებულოს ცხოვრებასაც გააცნობენ საქართველოს ყველა კათოლიკეს. სწორედ ამ მიზნით „საბას“ რედაქციამ, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ლოცვა-კურთხევით, წეროვანის სულიერებისა და კულტურის ცენტრში 4 მარტს მოაწყო ჟურნალის კორესპოდენტთა და მოხალისეთა პირველი გაფართოებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა საკრებულოს წარმომადგენლები და ჟურნალის რედაქციის წევრები: მამა გაბრიელე ბრაგანტინი, ბ-ნი ნუგზარ ბარდაველიძე, ბ-ნი ზაზა შათირიშვილი, ქ-ნი ციცინო ხითარიშვილი.

შეხვედრა გახსნა მეუფე ჯუზეპე პაზოტომ. მან ისაუბრა ჟურნალის დანიშნულებაზე, ყურადღება გაამახვილა მკითხველამდე მისი მიტანის აუცილებლობაზე. ეპისკოპოსმა გულისტკივილით გაიხსენა საკუთარი თვალით ნანახი ფაქტები, როდესაც სხვადასხვა საკრებულოში წააწყდა დასტებად დალაგებულ ჟუნრალის წაუკითხავ ნომრებს. შემდეგ ისაუბრა მამა გაბრიელემ, რომელმაც დამსწრეებს გააცნო ჟურნალის მნიშვნელობა საკრებულოთა შეკავშირების, აგრეთვე, კათოლიკეთა ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების საქმეში. მამა გაბრიელემ დამსწრეებს მოუწოდა აქტიური თანამშრომლობისკენ, საკრებულოს ცხოვრების ამსახველი მასალების მოწოდებისა და ჟურნალის გავრცელებისაკენ. შეხვედრაზე აღინიშნა ჟურნალთან დაკავშირებული სირთულეებიც. სამრევლოთა წარმომადგენლებმა ისაუბრეს თავიანთ სამრევლოებში არსებულ პრობლემებზე, გაიმართა მსჯელობა ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. ბათუმის საკრებულოს წევრმა, ბატონმა თენგიზ პარმაქსაზიშვილმა გამოთქვა სურვილი, ჟურნალში მეტი ყურადღება დაეთმოს ქართველ კათოლიკე მამულიშვილთა ღვაწლს. ქუთაისელმა ქალბატონმა, პოეტმა დოდო ნებიერიძემ ისურვა, გარკვეული ადგილი ჟურნალში პოეზიასაც დაეთმოს.

თავის გამოსვლაში „საბას“ რედაქციის წევრმა, ნუგზარ ბარდაველიძემ დამსწრეთა ყურადღება პრესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის პრობლემებზე გაამახვილა. მისი საუბრის მთავარი უწყება იყო, რომ საკრებულოებში შერჩეულმა „საბას“ ადგილობრივმა კორესპონდენტებმა სერიოზული ყურადღება დაუთმონ ჟურნალის ერთგულ მკითხველთან მუშაობას, ყველა მსურველმდე დროულად მიიტანონ ახლად გამოცემული ჟურნალი, რედაქციას მიაწოდონ მკითხველის მოსაზრებები, სასულიერო პირებს ჩამოაცილონ ჟურნალის გავრცელების პრობლემები, იზრუნონ „საბას“ პრეზენტაციების ორგანიზებაზე. ბატონი ნიგზარი შეეხო ქალბატონ დოდო ნებიერიძის წინადადებას, ლიტერატურული მასალების ფართოდ გამოქვეყნების თაობაზე და შეკრებილ საზოგადოებას აღუთქვა, რომ თუ შეგროვდებოდა ჟურნალის მკითხველთა მიერ გამოგზავნილი მაღალმხატვრული დონის ლიტერატურული მასალა, იგი პირადად უზრუნველყოფდა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე „საბას“ ყოველწლიური ლიტერატურული დამატების გამოცემას და სპეციალურ ლიტერატურულ პრემიასაც დააწესებდა.

საქმიანი და ნაყოფიერი შეხვედრის შემდეგ „საბას“ რედაქცია და მისი ახალი კორესპოდენტები მეგობრულ სადილზეც გულითადად უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. ივლისის დასაწყისში კი კვლავ შედგება „საბას“ კორესპოდენტთა გაფართოებული საანგარიშო შეხვედრა, რომელზეც გაწეულ მუშაობას კონკრეტული ანალიზიც მოჰყვება. ხოლო თუ ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხე უმასპინძლებს ამ შეხვედრას, ამას მკითხველი მომავალში შეიტყობს.

ნინო ტურაბელიძე

(რუბრიკა) **სინოდი**

მზადება სინოდისათვის

როგორც უკვე ვიუწყებოდით, წეროვანში, 8 იანვარს, სამრევლო საბჭოთა წარმომადგენლებმა სინოდის მოსამზადებელი კომისიისაგან კითხვართა შევსებასთან დაკავშირებული აუცილებელი ახსნა-განმარტებები მიიღეს.

ამ შეხვედრის შემდეგ სინოდის მოსამზადებელი კომისია ორი თვის განმავლობაში ინტენსიურად აგრძელებდა მუშაობას, ხოლო სამრევლო საბჭოები მიღებულ კითხვარებს ამუშავებდნენ.

საბოლოოდ, გაანალიზებულმა მასალამ და ყველა კითხვარმა საკათედრო ტაძარში მოიყარა თავი. კითხვართა მიღებასა და გაანალიზებას სინოდის არჩევის წესთა და სინოდის რეგლამენტის შემუშავება მოჰყვა. ამჟამად მოსამზადებელი კომისია იმ თემათა შესახებ მსჯელობს, რომელთა განხილვასაც სინოდი უნდა მიეძღვნას. თემების შერჩევა კითხვართა საფუძველზე მოხდება, თუმცა, ამის შემდეგაც თითოეულ სამრევლოს ცალკეულ წინადადებათა წამოყენების საშუალება კვლავ მიეცემა.

სინოდის წევრთა არჩევნებს თითქმის მთელი გაზაფხული დაეთმობა. ამავე დროს, ისიც გადაწყდა, რომ სინოდი ორ სესიად წარიმართება. პირველი სესია სექტემბერში, ხოლო მეორე – ნოემბერში გაიმართება. სინოდი, როგორც ცნობილია, 23 დეკემბერს საზეიმოდ დაიხურება თბილისის ღმრთისმშობლის აღყვანების საკათედრო ტაძარში.

სინოდის მოსამზადებელი კომისია

(რუბრიკა) **ინტერვიუ**

კარდინალი ვალტერ კასპერი: დიალოგი ჭეშმარიტებაში

ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის პაპის საბჭოს თავმჯდომარეს, კარდინალ ვალტერ კასპერს, ესაუბრება თეოლოგი ლევან აბაშიძე

თბილისი, 2006 წლის 2 თებერვალი

ბატონო კარდინალო, ნება მომეცით ჟურნალის მკითხველთა სახელით მადლობა გადაგიხადოთ საქართველოში ჩამოსვლისთვის. მოკითხვა, რომელიც

თქვენ წმინდა მამის, ბენედიქტე XVI-ისაგან, ჩამოიტანეთ, მნიშვნელოვანია საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანთათვის.

თუ შეიძლება, მოკლედ გვითხარით როგორ მდგომარეობაშია დღეს კათოლიკურ-მართლმადიდებლური ურთიერთობა და დიალოგი?

ვატიკანის II კრების შემდეგ ჩვენ დიდ პროგრესს მივაღწიეთ. 1960-იან წლებში დავიწყეთ საერთაშორისო დიალოგი მართლმადიდებელ ეკლესიასთან. დიალოგის საგანი იყო ეკლესია, როგორც ერთობის საიდუმლო, ევქარისტია, საიდუმლოთა რწმენა, სამოციქულო მემკვიდრეობითობა და საეკლესიო მსახურთა ხელდასხმა. ეს ძალიან კარგი დიალოგი იყო, რომელმაც აჩვენა, რომ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებში ჩვენ ერთიანნი ვართ.

შემდგომში დიალოგი სიძნელეებს წააწყდა. კერძოდ, 90-იან წლებში, უნიატობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა დაამძიმეს დიალოგის წარმოება. ამის გამო 2000 წლისთვის, ბალტიმორში (აშშ), დიალოგი პრაქტიკულად შეწყდა.

ახლა ჩვენ ისევ განვაახლეთ დიალოგი ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ჩვენ გვინდა ვისაუბროთ ეკლესიაზე, როგორც ერთობაზე (Communio) და ამასთან დაკავშირებით, ასევე, პაპის ადგილზე ეკლესიაში და უნიატიზმზე. ამ პერიოდში ჩვენ საკმაოდ გავაუმჯობესეთ ურთიერთობა ცალკეულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ათეული წლებია კარგი ურთიერთობა გვქონდა და გვაქვს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან, ასევე, ალექსანდრიის, ანტიოქიის, რუმინეთისა და ბულგარეთის საპატრიარქოებთან. ამათ გარდა, საგრძნობლად გავაუმჯობესეთ ურთიერობა საბერძნეთთან და სერბეთთან. რუსეთთან ამჟამად ბევრად უკეთესი კონტაქტები გვაქვს, თუმცა პრობლემები მაინც რჩება.

საბოლოო ჯამში, ბევრი გაკეთდა, მაგრამ ჩვენ შორის რჩება ღია კითხვები და, უპირველეს ყოვლისა, პეტრეს მსახურების გაგების საკითხი.

უმთავრესი, რაც მინდა გითხრათ არის დიდი იმედი, რომ მართლმადიდებელ ეკლესიასთან შემდგომშიც კარგად წარიმართება ურთიერთობები, ვინაიდან თეოლოგიურად მართლმადიდებელი ეკლესია ძალიან ახლოა ჩვენთან: ჩვენ გვაქვს იგივე საიდუმლოებები, საეპისკოპოსო სტრუქტურა, ღმრთისმშობლისა და წმიდათა თაყვანისცემა. ის, რაც გვაერთიანებს, ბევრად დიდია იმაზე, რაც გვასხვავებს.

კონფერენციაზე თქვენ თქვით, რომ თუ ერთობას მივაღწიეთ, თითოეული ეკლესიის ტრადიცია და სტრუქტურა ხელუხლებელი დარჩება. როგორ იქნება ეს შესაძლებელი?

ჩვენ ხომ ერთი და იგივე საიდუმლოებები გვაქვს, მაგრამ სხვადასხვა წესი (რიტუალი). ეს ასევე შეიძლება დარჩეს. არაფრის შეცლა არაა საჭირო.

რაც შეეხება საეკლესიო სტრუქტურას, მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ცნობილია, სინოდური სტრუქტურა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი ცენტრების ეპისკოპოსთა ან მიტროპოლიტების გარშემო იკრიბება სინოდი, რომელსაც საკმაოდ დიდი გავლენა აქვს. სინოდი, რომლებიც პატრიარქებთან არსებობს, პასუხისმგებელნი არიან ეპისკოპოსების არჩევაზე. ეს ყველაფერი ასევე დარჩება.

ეს წესი მოქმედებს აღმოსავლურ ეკლესიებში, რომლებიც სრულ ერთობაშია რომთან. ფაქტობრივ, დიდი არაფრის შეცვლა საჭირო არ არის.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ეკლესიები ერთობას (Communio) უნდა შეადგენდნენ, ისინი სრულ ერთობაში უნდა იყვნენ რომის საყდართან, ანუ პაპთან – რომის ეპისკოპოსთან.

ჩემი აზრით, პაპი აღმოსავლეთის ეკლესიათა საქმეებში იმგვარად არ ჩაერევა, როგორ დღეს დასავლეთშია მიღებული. იქნება განსხვავება პრიმატის პრაქტიკულად განხორციელების საკითხში.

და კათოლიკური მხარე გაგებით მოეკიდება იმას, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან პაპს ისეთივე პატივი არ მიეგება, როგორც მას მთელი ლათინური ეკლესია მიაგებს?

მას იგივე პატივი მიეგება. პეტრეს მსახურების გაგება ერთი იქნება, მისი პრაქტიკული გამოვლინება შეიძლება იყოს სხვადასხვა. ეს ასეა უკვე ე. წ. უნიირებულ ეკლესიებში, რომელთა პრაქტიკა განსხვავდება ლათინური ეკლესიის პრაქტიკისგან.

მართლმადიდებელ მხარესაც არ უნდა ჰქონდეს შიში, რომ მას ვინმე შთანთქავს ან ზედმეტ მოთხოვნებს წაუყენებს. ლათინიზირების პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა და დღეს ის უკვე მიუღებელია და მიუღებლად დარჩება მომავალშიც.

მართლმადიდებელ ეკლესიაში (არა მარტო საქართველოში) არიან მორწმუნეები, რომლებიც ამბობენ, რომ ამ დიალოგში და საერთოდ ეკუმენურ ურთიერთობაში ჩაბმული ადამიანები არ ზრუნავენ საკუთარ რწმენაზე და საკუთარ ტრადიციაზე, არამედ მათ მხოლოდ გარეგნული ერთიანობის მიღწევა სურთ ან სხვა მერკანტილური მიზნები ამოძრავებთ. რას იტყოდით ამ ადამიანების და მათ შეხედულებების შესახებ? იქნებ ასეთი ადამიანები კათოლიკურ მხარეზეც არიან?

ასეთი ადამიანები, ალბათ, მართლაც არსებობენ, მაგრამ ის, რასაც ისინი გვაბრალებენ, სინამდვილეში არ არის ეკლესიის დამოკიდებულება. ჩვენ გვსურს დიალოგი ჭეშმარიტებისთვის, ჭეშმარიტებაში და სიყვარულში, – სიყვარულში ანუ დიალოგი ძმურ ატმოსფეროში უნდა წარიმართოს და, ამავე დროს, ის უნდა იყოს დიალოგი ჭეშმარიტებაში ანუ ნამდვილი დიალოგი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გამოეკიდება ყალბ და უცხო მიზნებს. ჩვენ ვეძიებთ ერთობას, ხოლო ერთობა შეიძლება მხოლოდ სული წმიდამ გვაჩუქოს. ეს ყველაფერი არ წარმოადგენს პოლიტიკურ საქმიანობას, არამედ დავალებას, რომელიც იესო ქრისტემ ეკლესიას მისცა.

დღევანდელი ღმრთისმსახურებისას თქვენ თქვით, რომ ჩვენ ყველამ უნდა ვილოცოთ და ვიმუშაოთ იმისათვის, რათა ქვეყნიერება უფრო უკეთესი, უფრო ჰუმანური და უფრო სამართლიანი ადგილი გახდეს. როგორ გესმით ამგვარი ლოცვა და ძალისხმევა დღეს თქვენ – ქრისტიანსა და ეკლესიის მსახურს?

დიახ, ეს თითოეულმა ქრისტიანმა უნდა აკეთოს, ამას ჩვენ ღმრთისმსახურებისას ვიხსენებთ. თითოეულმა ქრისტიანმა საკუთარი გარემოცვიდან უნდა დაიწყოს. დიახ, მე არ ვგულისმობდი იმას, რომ ეს გარდაქმნა მთავრობას მოვთხოვოთ, არამედ საკუთარი გარემოცვიდან უნდა დავიწყოთ, მას მივაპყროთ ყურადღება და შევეცადოთ ის უფრო სამართლიანად ვაქციოთ. იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო სამართლიანი, დემოკრატიული იყოს, ამ გზით ასევე ხალხებს და ქვეყნებს შორის სამართლიანობას შევუწყოთ ხელი. ამქვეყნად ხომ მრავალი უსამართლობა ხდება.

ამაში ადამიანის უფლებების და მისი რელიგიური უფლებების დაცვასაც გულისხმობთ?

რასაკვირველია, ვგულისხმობ ადამიანის უფლებებს, და ამ უფლებებთაგან ყველაზე ფუნდამენტურს – რელიგიურ თავისუფლებას, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს საკუთარი რწმენის მიხედვით და ასევე აქვს უფლება, საჯაროდ განაცხადოს ეს რწმენა. მე იმედი მაქვს, რომ ეს თავისუფლება თქვენ ქვეყანაშიც იქნება გარანტირებული, რაც გამოიხატება კათოლიკე ეკლესიის მიერ შესაბამისი იურიდიული სტატუსის მიღებაში.

თქვენ, სხვა ქრიასტიანულ კონფესიებთან ურთიერთობის გარდა, ასევე გევალებათ იუდეველთა თემთან, იუდაურ რელიგიასთან ურთიერთობის წარმართვა. ამ შემთხვევაში რაში მდგომარეობს ეკლესიის მიზანი და იმედები?

რასაკვირველია, იუდეველებთან დიალოგი არ ისახავს მიზნად სრული ერთობის მიღწევას. ეს შეუძლებელია, იმ საფუძვლიანი განსხვავების გამო, რომელიც იესო ქრისტეს პიროვნებას ეხება. მაგრამ, პრინციპიულ განსხვავებებთან ერთად, ჩვენ საერთოც ბევრი გვაქვს: ძველი აღთქმა, ათი მცნება, ერთი ღმერთის რწმენა (მონოთეიზმი).

დიალოგის მიზანია, გადაილახოს ანტისემიტიზმი, უმეცრება და სიძულვილი, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი, და შეიქმნას იუდეველთა და ქრისტიანთა შორის მეგობრობის და ურთიერთგაგების ატმოსფერო.

როცა ამას მივაღწევთ, შეიძლება თანამშრომლობაზე გადავიდეთ. თანამშრომლობა დავიწყეთ კიდეც. დასაწყისი იყო ძნელი, ვინაიდან ქრისტიანთა და ებრაელთა ურთიერთობა ისტორიულად რთული იყო. დღეისათვის კი გვაქვს დიალოგი და ურთიერთგაგება, მათ შორის რელიგიურ ებრაელებთანაც.

რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს?

მკითხველს ვეტყოდი, რომ ჩვენ უნდა ვამაყობდეთ, რომ ქრისტიანები ვართ. ეს ქრისტინული ქვეყანაა და ამ ქვეყანაში კათოლიკეებსაც აქვთ დიდი წვლილი შეტანილი, – მის კულტურაში და ისტორიაში. ჩვენ იმედი გვაქვს და გვინდა დახმარების აღმოჩენა იმაში, რომ კათოლიკე ეკლესიამ ამ ქვეყანაში სრული სამართლებრივი აღიარება მიიღოს და დამყარდეს შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო. ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა, ამაზე უნდა ვიმუშავოთ და ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ მშვიდობაში ამ ქვეყანაში და ასევე, მშვიდობაში მთელ მსოფლიოში.

კიდევ ერთი შეკითხვა: როდესაც მსოფლიოზე, ქვეყნიერებაზე ვსაუბრობთ, როგორი უნდა იყოს ქრისტიანის მიმართება ქვეყნიერებასთან, რომელშიც როგორც ვიცით, ბოროტება ბუდობს. რა საშიშროებებია დღევანდელ მსოფლიოში?

ჩვენ ყველაფერს უნდა ვხედავდეთ. უნდა ვხედავდეთ სიკეთეს, რომელიც მსოფლიოშია, ვაღიაროთ ეს სიკეთე და ხელი შევუწყოთ მას. მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა ვიყოთ გულუბრყვილონი და უნდა ვხედავდეთ დიდ საშიშროებებს. დღეისათვის ეს საშიშროებებია სეკულარიზაცია ანუ ადამიანის მიერ ღმერთის მიტოვება და უგულებელყოფა. ასევე ვხვდებით რელატივიზაციის საშიშროებას, როდესაც ინერგება აზრი, თითქოს ყველაფერი თანაბრად ფასეულია და რომ ღმრთის მცნებები და საღმრთო წესი არ უნდა შევასრულოთ. არის უსამართლობის, ტერორიზმის პრობლემები. ზოგ შემთხვევაში რადიკალური ისლამი და ასევე ახალი სექტები (და სექტანტური მოძრაობები) წარმოადგენს გამოწვევას ქრისტიანებისთვის, რისგანაც ჩვენ დაცულნი უნდა ვიყოთ, მაგრამ არ უნდა წამოვიწყოთ დავა და პოლემიკა.

ჩვენ უნდა გვქონდეს დაჯერებულობა ჩვენ საკუთარ რწმენაში, ამ რწმენით უნდა ვიცხოვროთ და ბოროტება სიყვარულით უნდა დავძლიოთ.

(რუბრიკა) **სოციალური პრობლემები**

"დამოკიდებულება"

ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ სიცოცხლის ღირსებაზე, მის პატივისცემასა და სიყვარულზე, რომ უფლისაგან ბოძებული სიცოცხლე უპირველესად გასაფრთხილებელი მადლია, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. ქვეყნის მომავალი ხომ ჯანსაღ თაობაზეა დამოკიდებული. სამწუხარო კი ის არის, რომ ახალგაზრდა თაობა თავად ხდება *დამოკიდებული.*

ჩვენ ბევრ რამეზე ვართ დამოკიდებულნი, რაც სხვადასხვა ჩვეულებით გამოიხატება: დამაწყნარებელი აბების ყლაპვა დასაძინებლად თუ სტრესის დასათრგუნავად; ალკოჰოლი – უკანასკნელი ნავთსაყუდარი დარდის განსაქარვებლად თუ სითამამის შესაძენად; თამბაქო – აშლილი ნერვების დასაოკებლად თუ ურთიერთობის დასამყარებლად; კოფეინი – განწყობილების ასამაღლებლად; ყველაფერი ეს ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. მაგრამ საზოგადოებაში არსებობს უფრო ძლიერი ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულება ნარკომანიის სახით.

გერმანელმა ქიმიკოსმა თავის აღმოჩენას *ჰეროინი* უწოდა (ანუ "საგმირო ღირსების მქონე" წამალი თავისი ძლიერი ეფექტურობის გამო), რომელიც განუკურნებელი დაავადებებისგან გამოწვეულ გაუსაძლის ტკივილებს გააყუჩებდა. მას სწამდა, რომ ამით შვებას მოგვრიდა ავადმყოფებს და განკურნავდა მორფის მომხმარებლებს, ანუ ე. წ. „მორფინისტებს“. თუმცა ტრაგიკული შეცდომა აღმოჩნდა წარწერა 1900 წლის ერთ-ერთ ჟურნალზე, რომელიც შემდეგს აუწყებდა მკითხველს: "მორფინი შეცვალა ჰეროინმა: ნარკომანები აღარ იქნებიან!". საზოგადოება მიხვდა ამ შეცდომას, მაგრამ ჰეროინს უკვე დაეწყო თავისი საშინელი მიწისქვეშა მოგზაურობა.

გაეროს 1957 წლის სხდომამ ასე განსაზღვრა ნარკომანია: "პერიოდული ან ქრონიკული ინტოქსიკაციის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ნარკოტიკის (ბუნებრივი თუ სინთეტიკური) მრავალჯერადი მოხმარებით". ინდივიდისა და საზოგადოებისათვის მეორადი მავნებელი ეფექტების შემაშფოთებელმა პირობებმა უბიძგა სახელმწიფოებს, აეკრძალათ მისი მოხმარება.

გვესაუბრება ქუთაისის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი, ბ-ნი ხვიჩა ვაშაყმაძე: "ნარკომანია ისევ რჩება ერთ-ერთ მტივნეულ და მოუშუშებელ ჭრილობად ქართულ სინამდვილეში პრობლემა, როგორც იტყვიან, არ ახალია, ძველია; ამ თემაზე ღიად საუბრობდნენ ჯერ კიდევ კომუნისტების რეჟიმის დროს. ადრე მის "დასჯას" მიმართავდნენ, მაგრამ ეს არ ამართლებდა. შემდეგ მათ "განკურნებაზე" დაფიქრდნენ, შეიქმნა დისპანსერები, მაგრამ მაინც მრავალი სირთულეა. თუმცა არის კიდევ ერთი შესაძლებლობა, ანუ ერთი იმედი: პრევენცია. ***პრევენცია*** ნიშნავს, ხელი შევუშალოთ, რომ განსაცდელში მყოფი სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდა თუ მოზარდი, თავიანთი პრობლემების ყალბ გამოსავალს ნარკოტიკის სახით შეხვდნენ. პრევენციის პირველი ელემენტი არის *ინფორმაცია.* ნარკოტიკების შესახებ ინფორმაცია უნდა მიიღონ დიდებმა და ახალგაზრდებმა. ინფორმაცია უნდა იყოს "კორექტული", ანუ თავიდან იქნეს აცილებული ყველაფერი ის, რაც მიმზიდველსა და სასურველს გახდის ნარკოტიკს; საჭიროა თავშეკავება მეცნიერული მონაცემებისგან, ცრუ მოსაზრებებისა და ამაო მსჯელობისგან. მეორე ნაბიჯი უნდა იყოს *აღზრდა.* უნდა დავეხმაროთ მოზარდებს

და შევაცნობინოთ, თუ რა ხდება მათში და მათ ირგვლივ. მესამე ნაბიჯი *ტრანსფორმაციაა.* ჩვენმა საზოგადოებამ დაივიწყა ადამიანის მეორე სახე. ადამიანს არ სჭირდება მხოლოდ ფული, მანქანა და მაცივარი, მას სჭირდება ურთიერთობა, საუბარი, ჰუმანურად განვითარება. ადამიანი არის სული და მას სულიერი ამოქმედება სჭირდება. საჭიროა უფრო ჰუმანური საზოგადოება, სადაც ახალგაზრდები ჭეშმარიტ ღირებულებებში იპოვიან ცხოვრების იდეალებს, მაგრამ საზოგადოების ტრანსფორმაციამდე ადრე, თავად ჩვენი ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს. აი, რატომ ეხება ნარკომანიის პრობლემა განურჩევლად ყველას".

ნარკოტიკი ძალზე "ახლოა". პრობლემა ყოველდღიურად აქტუალური ხდება, რა ნიადაგი აქვს საქართველოში ნარკომანიას?

ისევ ბატონ ხვიჩა ვაშაყმაძეს მოვუსმინოთ: "მოკლედ მოგახსენებთ ჩვენს ქვეყანაში ნარკოტიკების გავრცელების შესაძლო მიზეზებსა და საშუალებებზე. პირველი – ეს არის *ორგანიზებული ბაზის არსებობა:* ნარკოტიკების იატაკქვეშა კომერციას უზარმაზარი მოგება მოაქვს. "ხელოვნური სამოთხის" მომწოდებელნი ზღაპრულ სიმდიდრეს გამოიმუშავებენ, რისთვისაც ყველაფერზე წამსვლელები არიან: ტყუილი, სიცრუე, ქურდობა. ფაქტი სახეზეა: ყოველდღიურად ჩადენილი კრიმინალური დანაშაული. ნარკოტიკი უშუალოდ არის დაკავშირებული პროსტიტუციასა და დამნაშავეობასთან. მეორე, *ინდივიდუალური მოტივაცია:* ნარკომანი, ჩვეულებრივ, არის სუსტი არსება, რომელსაც არა აქვს ძალა, გადალახოს შემხვედრი დაბრკოლება. ამის გამო თუ აღზრდის გამო მას არ შეუძლია ებრძოლოს ამ მიჯაჭვულობას. გამოსავლად იგი ირჩევს "რაღაც ქიმიურს", ან ყველაფერს უარყოფს და ილუზორულ სამყაროში ეფლობა. შემდეგია *სოციალური მოტივაცია:* უპირველესად ოჯახური წარმომავლობა; როდესაც მოზარდი ნარკოტიკს იღებს, საჭიროა, დავინტერესდეთ იმ აღზრდით, რაც მას 5, 10 ან 15 წლის წინათ ჰქონდა. ყველაზე ხშირად მიზეზი მშობლებშია, რომლებიც საკმარისად არ ინტერესდებიან შვილის პრობლემებით ან, საოჯახო პრობლემებით გართულებს, ყურადღების მიღმა რჩებათ ბევრი რამ. ხშირად მიზეზი ის ფაქტიც არის, რომ ბევრი მოზარდი ხედავს, მშობლები სულ უმნიშვნელო ტკივილის დროსაც კი ქიმიურ პრეპარატებს მიმართავენ.

თუკი ნარკომანია ასე გავრცელდა ჩვენს დროში, ეს იმიტომ, რომ შესაბამისი ნიადაგი იპოვა. ჩვენი ცხოვრების სტილს ისეთი განსაკუთრებული ასპექტები აქვს, რაც ხელს უწყობენ ნარკომანიას. ჩვენი ცხოვრების ფორმამ განავითარა გრძნობითი თვისებები, მაგრამ გამოფიტა ბევრი ისეთი თვისება, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის, როგორიცაა: კავშირები სხვებთან, პიროვნების დაფასება არა ქონებისა და თანამდებობის გამო, და სხვა. მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს ქვეცნობიერად დევს ნარკომანებში. ჩვენი საზოგადოება "მარგინალების" დიდ რიცხვს ქმნის, რომლებიც არ მუშაობენ, ფეხს ვერ უწყობენ ცხოვრების რიტმს. მათთვის ნარკოტიკი ხდება "წამალი" სევდისა და უიმედობისაგან თავდასაცავად. თერაპიამ ძირფესვიანად უნდა აღმოფხვრას სულიერი გაუწონასწოროებლობა, უნდა მოხდეს "მთლიანად პიროვნების განკურნება, ცხოვრებაში მისთვის "ახალი გზის" გახსნა.

ყველა ადამიანის ვალია, ცხოვრება სიხარულით, სიყვარულით, პასუხისმგებლობით, თავისუფლებით აღავსოს, მაშინ ხომ არავის დასჭირდება ქიმიური "დანამატები"!

ლალი ჩარკვიანი

(რუბრიკა) **ინფორმაცია**

ლოცვის საერთაშორისო დღე

ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის თბილისის შერიგების საკათედრო ტაძარში ერთად ლოცულობდნენ საქართველოში მოქმედი სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანი ქალები

წლევანდელი 3 მარტი, დედის დღე, რომელიც 90-იანი წლებიდან სახელმწიფო უქმე დღეს წარმოადგენს, ქრისტიან ქალთა საერთაშორისო სოლიდარობისადმი მიძღვნილ **ერთიანი ლოცვის დღეს** დაემთხვა. საუკუნეზე მეტია, რაც დაარსდა ქალთა ერთიანი ლოცვის დღე და ის ყოველი წლის მარტის თვის პირველ პარასკევს აღინიშნება.

ქალთა მსოფლიო ლოცვის დღის მსახურებაში 170 ქვეყნის ქალები იღებენ მონაწილეობას. 1996 წლიდან მსოფლიო ლოცვის დღის აღნიშვნაში საქართველოს მანდილოსნებიც იღებენ მონაწილეობას. ასე რომ, წლევანდელი ქალთა მსოფლიო დღის აღნიშვნა ერთგვარ მცირე იუბილესაც წარმოადგენდა.

მსოფლიო ლოცვის დღე ყოველ წელს რომელიმე ცალკეული ქვეყნის ქალებს ეძღვნება. 2006 წელს ეს პატივი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალებმა დაიმსახურეს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ერთ-ერთი ყველაზე ქრისტიანული სახელმწიფოა აფრიკის კონტინენტზე. მოსახლეობის 84% ქრისტიანია (ძირითადად, პროტესტანტული დენომინაციის წარმომადგენლები). რომის კათოლიკეები მოსახლეობის 8%-ს შეადგენენ და წმიდა საყდარი დიდ ყურადღებას უთმობს ამ ქვეყნის მზარდ კათოლიკე მრევლს.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა კონტინენტის ყველაზე განვითარებული სახელმწიფოა, მისი მოსახლეობა მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე დგას და ერთიანი ლოცვაც და ამ ლოცვაზე შეკრებილი თანხებიც სამხრეთაფრიკელი ქალების პრობლემების დაძლევისათვის იყო მიმართული.

წლევანდელი მსოფლიო ლოცვის დღის ჩატარების ორგანიზატორებად თბილისში გასულ წელს დაფუძნებული საქართველოს ქრისტიან ქალთა ინტერრელიგიური გაერთიანების (ამ გაერთიანების შექმნაში კათოლიკე ქალბატონებსაც მიუძღვით წვლილი) წევრი ლუთერელი ქალბატონები მოგვევლინენ და მასპინძლობაც მათვე იკისრეს.

ერთიანი ლოცვები, რომლის ტექსტი სამხრეთაფრიკელმა ქალბატონებმა შეადგინეს, მონაწილეობდნენ მართლმადიდებლები და კათოლიკეები, ლუთერული, ევანგელურ-ბაპტისტური, სომხურ სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები, ხსნის არმიის წევრები, ასევე, თეოლოგიის ინსტიტუტ „საბას“ სტუდენტები. ლოცვის ბოლოს საკურთხეველთან აინთო სიმბოლური კელაპტარი, რომლის ანთების პატივიც საქართველოში რელიგიური ტოლერანტობის თვალსაჩინო დამცველს, ლელა ქართველიშვილს, ერგო. შემდგომ შეიკრიბა შემოწირულობა, რომელიც სამხრეთაფრიკელი ქალბატონების დახმარების ფონდში გადაირიცხება. ლოცვის ბოლოს, ტაძარში შეკრებილი მრავალკონფესიური და მრავალრიცხოვანი მრევლი ეპისკოპოს ანდრეას შტოკლის სახელით დალოცა პასტორმა გარი აზიკოვმა.

საერთო ლოცვა დასრულდა ლუთერანი ქალბატონების მიერ მომზადებული მცირე საუზმით და დიდი იმედით, რომ ქრისტიან ქალთა მსოფლიო ლოცვის დღე მომავალში საქართველოს მანდილოსნებსაც მიეძღვნებათ.

მანანა ბაქრაძე

საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ, უფალო!

ოთარ დათაშვილი
* 16. 02. 1930, ახალხიზა
† 10. 03. 2006, ახალხიზა

ქეთევან დიასამიძე
* 15. 11. 1931, ვალე
† 05. 03. 2006, ვალე

იაკობ ტატურაშვილი
* 1929, ხიზაბავრა
† 04.03. 2006, ხიზაბავრა



ათანასე გოზალიშვილი
* 20. 05. 1923 წ. ვალე
† 19. 03. 2006 წ. ვალე

გახსენება

ჟანა-მარია იორდანიშვილი
14 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა და მის ახლობლებსა და მეგობრებს ძალიან დაგვწყვიტა გული. 27 მარტი ჟანას დაბადების დღეა.

(რუბრიკა) **ახალგაზრდული გვერდი**

და ბატონობდეს თქვენს გულებში ღმრთის მშვიდობა

(კოლ. 3, 15)

გამოცდილება გიჩვენებთ, რომ თქვენს სულში გულმოწყალების, ღმრთისა და მოყვასის სიყვარულის დამამკვიდრებელი სიმშვიდე ყველაზე პირდაპირი გზაა მარადიული სიცოცხლისკენ.

ხუან დე ბონილა (XVI ს.)

ჩვენ მშფოთვარე დროში ვცხოვრობთ, – თანამედროვე ადამიანთა ყოველდღიურობისათვის დამახასიათებელი ეს შინაგანი განცდა ქრისტიანულ სულიერ ცხოვრებაშიც ხშირად ვლინდება. ხშირად მოუსვენრობას უფლისა და სიწმიდის ძიებაში, მოყვასის მსახურებაშიც კი ვავლენთ, ნაცვლად იმისა, რომ რწმენითა და სიმშვიდით აღვივსოთ, როგორც სახარება გვასწავლის, მცირეთა მაგალითით.

ამიტომაც, უაღრესად მნიშვნელოვანია იმის შეგნება, რომ ღმრთისა და სრულყოფილებისკენ გზა გაცილებით უფრო ქმედითი, სწრაფი და მარტივია, თუ ადამიანი ნებისმიერ ვითარებაში ღრმა სულიერ სიმშვიდეს ინარჩუნებს. ამგვარად ის სული წმიდისადმი მორჩილი ხდება და უფლის წყალობა მასში იმაზე ბევრად მეტს ქმნის, რასაც იგი საკუთარი ძალებით შეძლებდა.

შინაგანი სიმშვიდე სიწმინდისკენ მიმავალი გზაა!

„უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ“, – თქვა იესომ (იოან. 15:5) და ჩვენთვის უმთავრესია, ვირწმუნოთ ეს ჭეშმარიტება. ხშირად (უფლისგან მოვლენილი) წარუმატებლობის, დამცირებისა და განსაცდელის გადატანაა საჭირო იმისათვის, რომ აღნიშნულმა ჭეშმარიტებამ ჩვენს გონებაში დაისადგუროს, მეტიც, მთელი ჩვენი არსებობის გამოცდილებად იქცეს. ღმერთს რომ შეეძლოს, ყველა ამ განსაცდელს აგვაცდენდა, მაგრამ ამგვარი განსაცდელი იმისათვის გვჭირდება, რომ დავრწმუნდეთ ჩვენს თანდაყოლილ უძლურებაში და დამოუკიდებლად ვაკეთოთ სიკეთე.

როგორ მივცეთ ღმერთის წყალობას ჩვენს ცხოვრებაში თავისუფლად მოქმედების საშუალება? ანუ გეგმისა და ვარაუდის მიხედვით განსაზღვრულ ქმედებათა შესრულებას კი არ უნდა ვესწრაფოთ, არამედ უნდა ვეცადოთ, აღმოვაჩინოთ ის სულიერი განწყობილება, რომელიც ღმერთს ჩვენში მოქმედების საშუალებას აძლევს. მხოლოდ ასე შევძლებთ, მივიღოთ ისეთი ნაყოფი, რომელიც დარჩება (იოან. 15:16).

ჩვენი ღმერთი მშვიდობის ღმერთია. ის მხოლოდ მშვიდად მოქმედებს, საუბრობს და არა – შფოთვით და მღელვარედ. გავიხსენოთ წინასწარმეტყველ ელიას განცდა ხორების მთაზე: **ღმერთი არ იყო არც ქარიშხალში, არც მიწისძვრასა და ცეცხლში, არამედ სიოს ნაზ ქროლვაში** (მეფ. 19).

ხშირად ჩვენი აღგზნებისა და ღელვის მიზეზი სწორედ ყველაფრის დამოუკიდებლად გადაწყვეტის მცდელობა ხდება. გაცილებით სასარგებლო იქნება, თუ სიმშვიდეს შევინარჩუნებთ და ღმერთს საშუალებას მივცემთ, რათა იმოქმედოს ჩვენში ჩვენს ძალებზე უსასრულოდ აღმატებული თავისი სიბრძნითა და ძალით.

რასაკვირველია, ზემოთქმული სიზარმაცისა და ინერტულობისაკენ მოწოდებას არ გულისხმობს. ესაა მოწოდება, არ ვიმოქმედოთ მოუსვენრობის ზეგავლენით და ნაჩქარევად. ჩვენი მამოძრავებელი ძალა ღმრთის სულის წყნარი და მშვიდობისმყოფელი გავლენა უნდა გახდეს. წმიდა ვინჩენცო დე პაოლი, ვისაც ნაკლებად შეიძლება დავწამოთ სიზარმაცე, ამბობდა: „ღმერთის სიკეთე თავისით მოქმედებს, ისე რომ ამას თითქმის ვერც კი ვამჩნევთ. უფრო პასიურები იყავით, ვიდრე აქტიურები; ამგვარად, ღმერთი მოიმოქმედებს თქვენი მეშვეობით იმას, რასაც ერთად აღებული ყველა ადამიანი ვერ შეძლებდა მის გარეშე“.

ჟაკ ფილიპი

ახალგაზრდული საბჭოს შეხვედრა წეროვანში

3-4 მარტს წეროვანში ახალგაზრდული საბჭოს შეხვედრა მოეწყო. და ჯოზეფინას და მამა კარლოს დახმარებით იგი ძალზე ლამაზად და საინტერესოდ წარიმართა.

პირველ დღეს მამა ზურაბ კაკაჩიშვილი გვესაუბრა თემაზე: „რწმენა და ახალგაზრდობა". თემა საკმაოდ ფართო და მრავლისმომცველია, შესაბამისად ჩვენი საუბარი მეტად საინტერესო და აქტიურ დისკუსიაში გადაიზარდა. დღის ბოლოს ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტოც გვესტუმრა და ძალზე საყურადღებო და გასათვალისწინებელი რჩევები მოგვცა.

მეორე დღეს შეხვედრა სემინარისტებთან ერთად განვაგრძეთ, რომლებმაც თავიანთი იდეები და გამოცდილება გაგვიზიარეს.

ორი დღის მანძილზე ჩვენს ერთად ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლია, მრავალი ახალი აზრი და იდეა დაგვებადა და სამომავლო გეგმებიც დავსახეთ. ყველაფრის კონკრეტული განხორციელებისთვის კი მომავალ შეხვედრაზე ვიმსჯელებთ, რომელიც 31 მარტს გაიმართება.

დაბოლოს, მინდა ყველა ახალგაზრდას მოვუწოდო, რომ შემოგვიერთდნენ, გაგვიზიარონ საკუთარი აზრები, იდეები, გამოცდილება, პრობლემები, რათა ღმრთის შეწევნითა და ჩვენი მონდომებით, ეს წელი უფრო საინტერესოდ, აქტიურად და ნაყოფიერად გავატაროთ.

ნატო ალავერდაშვილი

(რუბრიკა) **საყმაწვილო გვერდი**

სარჩევი

რედაქციის გვერდი
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში
კათოლიკე ეკლესია საქართველოში
სინოდი
ინტერვიუ
სოციალური პრობლემები
ინფორმაცია
ახალგაზრდული გვერდი
საყმაწვილო გვერდი

საგანგებო ჩანართი:
იესოს ვნების ისტორიულობა

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
გაზეთი „საბა“ დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2006

იესოს ვნების ისტორიულობა

საგანგებო ჩანართი

იესო ნაზარეველის *ვნება*, რომელიც სავარაუდოდ 30 წლის 7 აპრილს ჯვარზე სიკვდილით აღესრულა, საუკუნეების მანძილზე კვლევის საგნად ქცეულა ისტორიულ, ეგზეგეტიკურ და იურიდიულ სფეროში. მათ შორის ურთულესია საკითხი *იესოს ვნების* სახარებისეული მონათხრობის ისტორიულ უტყუარობის შესახებ, რადგან თითოეული მახარობელი თავისებურად აღწერს *იესოს ვნებას*. ხშირად, ეს ოთხი ვერსია ერთმანეთს არ ემთხვევა; რთული საკითხია ისიც, თუ ვინ არის პასუხისმგებელი იესოს სიკვდილზე: სინედრიონი თუ პილატე? რამდენადაც ირკვევა, ზოგიერთი სახარება ებრაელთა პასუხისმგებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამდენად არბილებს რომაელთა პასუხისმგებლობას. გასარკვევია ისიც, იესო სარწმუნოებრივი თუ პოლიტიკური მიზეზით იქნა ჯვარცმული?

პირველ რიგში, ჩვენ უნდა დავფიქრდეთ *იესოს ვნების* პირველწყაროზე. არსებობს ოთხი კანონიკური სახარება (მარკოზი, მათე, ლუკა და იოანე); მიუხედავად *უფლის ვნების* მნიშვნელობისა, სხვა წყაროებიდან ძალზე მწირ ინფორმაციას ვიღებთ. მაგალითად, ებრაელი ისტორიკოსი იოსეფ ფლავიუსი წერდს: "პილატემ, მეთაურთა მოთხოვნით, სიკვდილით დასაჯა იესო". რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი გვამცნობს, რომ ტიბერიუსის იმპერატორობის ჟამს, ქრისტემ სასჯელი მიიღო პროკურატორ პილატეს მიერ; ნაკლებ მნიშვნელოვანია აპოკრიფული ნაწერები. კანონიკური სახარებებიდან მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი რამ: პირველი, რომ ისინი განიზრახავენ არა იესოს ბიოგრაფიის მოთხრობას, არამედ იმ უწყების გადმოცემას, რაც ამ სოფლად მოსულმა განკაცებულმა ძე ღმრთისამ – იესომ აუწყა ხალხს, და მოგვითხრობენ მის მიერ მოხდენილ სასწაულებს, რათა ამ გზით მკითხველებში იესო ნაზარეველის რწმენა გამოიწვიონ, ანუ რწმენა იმისი, ვისშიაც ჰპოვა ხორცშესხმა ძველი აღთქმის ყველა წინასწარმეტყველებამ და ვისი სიკვდილითა და აღდგომითაც აღსრულდა ყოველი კაცის ცხონება. რასაკვირველია, კანონიკური სახარებები ისტორიულად მომხდარ რეალურ ფაქტებს მოგვითხრობენ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იესოს სიტყვები და მოქმედებები მახარობლებამდე ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი ტრადიციიდან მივიდნენ. ასე რომ, მართალია სახარებებს მოჰყავთ იესოს სიტყვები და საქმეები, მაგრამ იესოს მთელი ცხოვრება აღდგომის შუქზე არის მოთხრობილი, ამიტომაც მახარობლების მთავარი საზრუნავი არ ყოფილა ისტორიული სიზუსტე: ისინი გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ საღმრთისმეტყველო უწყებას. ამავე დროს, სახარებები, მართალია, ერთსა და იმავე ადამიანზე – იესოზე საუბრობენ, მაგრამ მისი ქადაგება და საქმეები აღწერეს სხვადასხვა ავტორებმა, თითოეულ მათგანს თავისებური თეოლოგიური ხედვა ჰქონდა და მათი მონათხრობი განკუთვნული იყო სხვადასხვა ქრისტიანული საკრებულოსადმი, რომლებიც განსხვავებულ ადგილზე და დროში არსებობდნენ. ამრიგად, ყოველი სახარება დიდი სიფრთხილით და პატივისცემით უნდა

წავიკითხოთ და არ უნდა ვეძებოთ სრული თანხმობა ოთხივე სახარებას შორის. მათ შორის შეუთანხმებლობამ ეჭვები არ უნდა დაბადოს სახარებების ისტორიულ ღირსებაზე. მათი ისტორიულობა "არსობრივია", ანუ ეხება მონათხრობის ძირითად არსს, მაგრამ არა "დეტალებს". მაგრამ ოთხივე კანონიკური სახარება ვრცლად და დეტალურად საუბრობს უფლის ვნებაზე, ზეთისხილის ბაღში მისი დაპატიმრების წუთიდან ჯვარზე სიკვდილამდე და დამარხვამდე.

მათეს სახარება სავარაუდოდ რომში დაიწერა 65 წელს. მარკოზი, თავისი სახარების შესადგენად მრავალ წერილობით და ზეპირსიტყვიერ წყაროს მიმართავს (გადმოცემის თანახმად, რომ იგი წმიდა პეტრეს მოწაფე იყო). ლუკა და მათე მახარობლები განავრცობენ მარკოზის სახარებას, მაგრამ უფლის ვნების გადმოცემისას მის სქემას მიყვებიან. იოანეს სახარება, რომლის საბოლოო რედაქცია საბოლოოდ 90-100 წლებში ჩამოყალიბდა, ნამდვილი თეოლოგიური თხზულებაა.

იესოს შეპყრობა

იესოს ვნება მისი შეპყრობით იწყება: დასრულდა სერობა; ოთახიდან გამოსული მოციქულები ჩადიან ქალაქში; გალავანს მიუყვებიან და ბეთანიის გზას დაადგებიან; სულ მალე მარცხნივ გადაუხვევენ და ახლომდებარე ზეთისხილის მთაზე ადიან; ისინი ჩერდებიან გეთსიმანიად წოდებულ ადგილზე, რომელიც ნიშნავს *ზეთის გამოსახდელ წნეხს*, რადგანაც სწორედ აქ იყო ერთი-ერთი ასეთი წნეხი. უხმო, უკაცრიელი ადგილი... მხოლოდ კედარის შრიალი ისმის, რომელსაც გაზაფხულის სიო არხევს. იესო დააპატიმრა შეიარაღებულმა ჯგუფმა "მახვილებითა და წათებით", რომლებიც მწიგნობართა და უხუცესთაგან იქნენ გამოგზავნილი *(მარკ.14: 43).* იესოს შეპყრობის ინიციატივა, მარკოზის აზრით, უცილობლად ეკუთვნის იერუსალემის სასულიერო ხელისუფლებას. იოანეს სახარებაში საუბარია რომაელ მეომრებზე, რომელსაც წინ ადგილობრივი ხალხი მიუძღოდა (*იოანე, 18:3.12).* ეს ცოტა მოულოდნელიც კია, ვინაიდან იესოს მთელი მსახურების მანძილზე რომაელებს მის მიმართ არანაირი ყურადღება არ გამოუჩენიათ, არც იესოს იერუსალემში შემოსვლისას და არც ტაძრიდან მოვაჭრეების გაყრისას; ის, რომ იუდამ, ერთ-ერთმა თორმეტთაგანმა, მღვდელმთავრებს გაუმხილა ადგილი, სადაც იესო იმყოფებოდა იერუსალიმში ყოფნისას, ისტორულად დადასტურებულია, მაგრამ სახარებები დამაჯერებლად ვერ განმარტავენ, თუ რა მოტივი ჰქონდა ამ ღალატისათვის იუდას.

ღამის პროცესი სინედრიონის წინაშე

მარკოზი მოგვითხრობს, რომ დაპატიმრების შემდეგ იესო მღვდელმთავრის სასახლეში მიიყვანეს, სადაც სინედრიონი სრული სახით შეკრებილიყო. ყველა მღვდელმთავარი, უხუცესი და მწიგნობარი აქ იყო, სულ სამოცდათერთმეტნი, ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებსაც უზენაესი ებრაული სამსაჯავროთი უნდა განესაჯათ იესო. იმ წელს სხდომას მეთაურობდა კაიაფა *(სახელი ჰეროდესდოინდელი სამარხებიდან ირკვევა*). პირველი ბრალდება ცრუმოწმეებიდან გაისმა. ყველაზე მძიმე ბრალდებად ისმოდა იესოს ნათქვამი ტაძრის დანგრევაზე *(მარკ. 14: 58).* ბრალდება, როგორც მას ცრუმოწმენი და სინედრიონის წევრები იგებდნენ, ყალბი იყო, რადგან იესოს არ უთქვამს, რომ იგი დაანგრევდა ტაძარს, როგორც ნაგებობას; ასეა თუ ისე, ეს ნათქვამი მაინც მუქარად გაისმოდა, რადგანაც აშკარად აუწყებდა ებრაული კულტის შეცვლას სხვა კულტით; თუმცა მიზეზი, რამაც იესოს განაჩენი გამოუტანა იყო არა ეს განცხადება, არამედ ის, რომ იგი გახლდათ *მესია* – ძე ღვთისა. სინედრიონის ღამის სხდომას ხშირად

უარყოფენ ან ეჭვქვეშ აყენებენ, ვინაიდან ის უკანონო იყო. მართლაც, იოანეს სახარება მხოლოდ ანა წინასწრამეტყველის ცალმხრივ დაკითხვაზე საუბრობს; ხოლო ლუკას სახარება დილით შეკრებილ სინედრიონზე. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, რომ პილატეს წინაშე მოწყობილ პროცესს ნიადაგი მოუმზადა ებრაელი ხალხის ბრალდებებმა, და უნდა ვივარაუდოთ, ამგვარი ბრალდებები რომ არ ყოფილიყო, პილატე არ გაასამართლებდა და სიკვდილს არ მიუსჯიდა იესოს.

პროცესი პილატეს წინაშე

იტალიკური წარმომავლობის პილატე გალილეას პრეფექტად დაინიშნა. მას უარყოფითად იხსენებენ ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი და ფილონ ალექსანდრიელი. შესაძლოა ყველაფერი ეს გაზვიადებულია, მაგრამ ცნობლია, რომ ერთი წლის მანძილზე პილატე ზღვისპირეთის კესარიაში ცხოვრობდა, აქვე იქნა ნაპოვნი მისი სახელით ამოტვიფრული ქვა.

იესო პილატეს წინაშე ადრე დილით წარდგა. პროცესი ბრალდებულის დაკითხვით დაიწყო, რომელმაც პილატეს შეკითხვაზე: "შენა ხარ იუდეველთა მეფე?" მიუგო: "შენ ამბობ". პილატეს ხელმეორე შეკითხვაზე იესო მხოლოდ დადუმდა, და ამ დუმილმა გასტანა მანამ, სანამ იესოს ჯვარზე არ აღმოხდა: "ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?" ამ დუმილმა განაცვიფრა პილატე, რომელიც გრძნობდა იესოს უდანაშაულობას. იესოს წინაშე დასმული პილატეს პირველივე შეკითხვით: "შენა ხარ იუდეველთ მეფე?", ადვილად მისახვედრია, თუ როგორ შეცვალა სინედრიონმა ბრალდება, უკვე არა როგორც ტაძრის დამანგრეველზე, არა მესიაზე, არამედ რომაელების მეფეზე. ოთხივე სახარება შეთანხმებულად გადმოსცემს პილატეს გრძნობას იესოს მისამართით. იგი ვერანაირ დანაშაულს ვერ ხედავს იმ ბრალდებაში, რომ იესო თავს იუდეველთა მეფედ აცხადებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პილატე არ იყო სინედრიონის ნების უბრალო აღმსრულებელი, და რომ პროცესი კანონიერად გამართა, რომელმაც გასტანა დილიდან შუადღემდე *(იოანე, 19:14).* იესოს გათავისუფლებას პილატე ორგზის შეეცადა: პირველი მცდელობა იყო იესოს ბარაბაში გაცვლა; თუმცა ეს ინიციატივა არ მოდიოდა პილატედან, რომელსაც უთუოდ არ უნდოდა ავაზაკის გათავისუფლება, ეს უფრო პრეტორიუმის წინ, სადაც პროცესი იმართებოდა, შეკრებილი ხალხიდან წამოვიდა. მღვდელმთავრების მიერ წაქეზებული ბრბო ბარაბას გათავისუფლებას მოითხოვდა. პილატეს მეორე მცდელობა იყო, რომ მან პირდაპირ მიმართა ხალხს და შეეკითხა მათ, რა ექნათ იესოსთვის. პასუხი იყო: "ჯვარს აცვი!"; პილატემ კიდევ ერთხელ გაუმეორა, თუ რა ბოროტება ჰქონდა მას ჩადენილი, მაგრამ ბრბო გაჰყვიროდა: "ჯვარს აცვი!" *(მარკ. 15:6,14).* მაშინ პილატე იძულებული გახდა, განაჩენი გამოეტანა: იმ წუთებში პილატემ უმრავლესობის კმაყოფილება იხილა... მან იგი ჯარისკაცებს გადასცა ჯვარზე გასაკრავად *(მარკ. 15:15).* სავარაუდოა, არ იქნა გამოტანილი დასჯის ფორმალური განაჩენი. მიუხედავად ამისა, *წარწერა (ტიტულუს),* რომელიც გოლგოთას გზაზე იესოს წინ მიჰქონდათ ან იესოს ყელზე ჰქონდა დაკიდებული, და რომელზეც სამ ენაზე წაეწერათ: "მეფე იუდეველთა", თავისთავად მეტყველებდა სასჯელის მოტივზე.

გაშოლტვა და ჯვარცმა

ჯარისკაცები, ვისაც პილატემ გადასცა იესო, იყვნენ სირიელები და სამარიტელები, ამდენად ისინი იესოს მტრებად ითვლებოდნენ, რასაც ამტკიცებს კიდეც მათი სასტიკი და დაუნდობელი საქციელი. მას ჯერ გაშოლტავენ; მრავალი დამნაშავე კვდებოდა შოლტის ცემით, მისი სისასტიკე მდგომარეობდა წვრილ-წვრილ ბასრ ეკლებში და ტყვიის მძიმე ბურთულაკებში, რაც უფრო ვიწრო იყო

შოლტი, მით უფრო აძრობდა დამნაშავეს ზურგიდან ტყავს, დასჯა არა იმდენად მტკივნეული იყო, რამდენადაც დამამცირებელი, რადგანაც დამნაშავეს აშიშვლებდნენ, რის გამოც ისინი ტკივილს მხოლოდ მტრებისა და მსახურებისგან იღებდნენ, მაგრამ არასოდეს რომაელებისგან. გაშოლტვას თან სდევდა დაცინვა, რასაც უნდა გაერთო რომაელი ჯარისკაცები. ამის შემდეგ იგი პრეტორიუმიდან ჯვარზე საცმელად წაიყვანეს. მას ზურგზე აკიდეს ხის ძელი, რაზეც მიაჭედებდნენ კიდეც იმ ძელზე დამაგრების შემდეგ, რომელიც უკვე სასჯელის აღსრულების ადგილას იყო დადგმული. გაშოლტვამ დაასუსტა იესო, ამიტომაც, გამვლელი გააჩერეს და იძულებული გახადეს ეს მძიმე ხის ძელი ეზიდა სასჯელის აღსრულების ადგილამდე. მარკოზის სახარებიდან გიგებთ, რომ მას ერქვა სიმონი, რომელიც იყო მამა ალექსანდრესი და რუფოსი (*კედარის ხევში სულ ახლახანს აღმოჩენილი იქნა სამარხები, რომელზეც გარედან აწერია სახელი, ერთზე "ალექსანდრე სიმონისა", მეორეზე კი "ალექსანდრე კვირინისა").* ადგილს, რომელსაც მიაღწიეს ეწოდებოდა გოლგოთა, – სახარებები არაფერს ამბობენ მთაზე, – რომელსაც ეწოდება *თხემი*, ალბათ, მრგვალი ფორმის გამო, რომელიც ადამიანის თხემს მოგვაგონებდა. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იესოს ჯვრის ქვეშ იპოვეს ადამის თავის ქალა, საიდანაც მოდის ჯვარცმულის ქვეშ ორი ძვლის გამოსახვის ტრადიცია, მაგრამ ეს უბრალოდ ლეგენდაა. გოლგოთა ქალაქის გალავნის მიღმა, ახლომდებარე ადგილი იყო. ამიტომ, ქალაქიდან გასული, ადვილად შეამჩნევდა ჯვარცმულებს. იესოს დროს, რაზეც მეტყველებენ მიმდინარე გათხრები, ეს ადგილი ძველისძველი კარიერი იყო.

მახარობელი მარკოზი წერს: "ჯვარს აცვეს იგი". ამ სამად-სამი სიტყვით გადმოსცემს მარკოზი იესოს ჯვარცმას, რასაც სიკვდილი მოჰყვა *(მარკ.15:20,22).* იგი ასე მშრალად იმიტომ საუბრობს, რომ სურდა მკითხველები დაფიქრებულიყვნენ მომხდარზე.

იმ პერიოდში ჯვარცმა ხშირად სრულდებოდა. ამბობენ, რომ იერუსალემის ტაძარში, იმპერატორი ტიციუსი დღეში 500-მდე ებრაელს აცვამდა ჯვარზე და ეს იყო "ყველაზე სასტიკი და საშინელი სასჯელი, რაც კი არსებობდა", – შენიშნავდა ციცერონი.

ვინ იყო პასუხისმგებელი იესოს სიკვდილზე? უეჭველად გაგვიჩნდება ეს კითხვა. პასუხიც აშკარაა: ის ვინც იესოს სიკვდილი გადაწყვიტა და ჯვარცმა მიუსაჯა, ანუ *პილატე.* მან იესო დასაჯა, როგორც მეამბოხე და საშიში დამნაშავე, როგორც "მეფე იუდეველთა". პილატეს კარგად მოეხსენებოდა, რომ იესო არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენდა რომაელებისათვის, საპირისპიროდ ბარაბასი, მაგრამ მას მაინც მიუსაჯა ჯვარცმა. სინამდვილეში მას შეეშინდა, რომ იმპერატორის წინაშე დააბეზღებდნენ, რომ მან არ დასაჯა საშიში ადამიანი, რის გამოც იგი დაკარგავდა იუდეაში პრეფექტის ადგილს. ასე რომ, იესოს სიკვდილი გამოწვეული იყო პილატეს ცინიკური ოპორტუნიზმით, მისი აზრით, ალბათ, მეოცნებე და ფანატიკოსი მსაჯულის ცხოვრება არ ღირდა მთელ მის კარიერად.

მაგრამ იესოს სიკვდილზე პასუხისმგებელი იყო არა მარტო პილატე, არამედ ებრაელი ხელისუფალნი: მღვდელმთავარნი, მწიგნობარნი და უხუცესნი. სწორედ მათ შეიპყრეს იესო და მიიყვანეს პრეტორიუმში, წაუყენეს ბრალდება და ბრბოსთან ერთად ითხოვდნენ ბარაბას სანაცვლოდ ეცვათ იგი ჯვარს, როგორც "მეფე იუდეველთა". მიზანი იყო ის, რომ გაენადგურებინათ იესო, რადგან მისი ქადაგება მომაკვდინებელი იყო იუდეველთა რელიგიისათვის. იქნება ეს ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი თუ ოთხივე მახარობელი, აშკარაა, ებრაელ მღვდელმთავრებს რომ არ გადაეცათ იესო პილატესათვის პოლიტიკური ბრალდებით, როგორც საშიში რევოლუციონერი, პილატე სულაც არ დაინტერესდებოდა იესოს პროცესით, იგი ხომ რომაელთათვის არ წარმოადგენდა წესრიგის დამრღვევს. თუკი ამ კუთხით, "იურიდიული" პასუხიმგებლობა

პილატეზეა, "მორალური" პასუხისმგებლობა ებრაელ მღვდელმთავრებზეა. ცხადია, როგორც პილატეს პასუხისმგებლობა არის პიროვნული და არავისზე არ ვრცელდება, არც იმ დროინდელ რომაელ მოსახლეობაზე და არც დღევანდელზე, ასევე, ებრაელი მღვდელმთავრების პასუხისმგებლობაც პიროვნულია და არც იესოსდროინდელ ისრაელიანებზე არ გადადის, და მით უმეტეს დღევანდელ ებრაელებზე.

რა თქმა უნდა, როდესაც მათეს, ლუკას და იოანეს სახრებას ვკითხულობთ, ადვილად შეიმჩნევა ტენდენცია, რომ მეტი პასუხისმგებლობა დააკისრონ ებრაელ ხალხს და ნაკლები პილატეს. ამგვარ მიმართულებას ვერ ნახავთ მარკოზის სახარებაში; მარკოზის აზრით, პილატე მოქმედებს როგორც გუბერნატორი, რომელსაც ერთი მხრივ, კარგად აქვს შეგნებული სინედრიონის ტენდენციური ბრალდება და მეორე მხრივ, ძალიან აწუხებს, არ დააბეზღონ იმპერატორის წინაშე. იგი ვერანარ საბაბს ვერ ხედავს, ბრალო დასდოს იესოს და ხელებს იბანს ხალხის წინაშე, რითაც იგი ამბობს, რომ ამ სისხლზე პასუხს არ აგებს. მან თავიდან მოიცილა პასუხისმგებლობა მთელს ხალხზე, რომელიც მიუგებს მას: "ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მისი სისხლი" *(მათ.27:25).* ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლუკას და იოანეს სახარებები, პილატეს პასუსიხმგებლობის გაფერმკრთალებით, მის სრულ პასუხისმგებლობაზე მიანიშნებენ. შეიძლება გავიხსენოთ, რომ მათეს სახარებაში პასუხისმგებლობა ეკისრება ებრაელებს, იმ ფაქტით, რომ იერუსალემის ნგრევის შემდეგ ადგილი აქვს არა მხოლოდ ერთმანეთისაგან გათიშვას, არამედ დიდ დავას. ქრისტიანები უსაყვედურებენ ებრაელებს, რომ მესია მოკლეს, ხოლო ებრაელები შეაჩვენებენ ქრისტიანებს და ბრალად სდებენ ებრაული რჯულის წინააღმდეგ წასვლას. ამ პოლიმიკური კონტექსტის ფონზე წერს მათე თავის სახარებას. თუმცა უნდა გავიხსენოთ მძიმე გამონათქვამი, რასაც მათე მთელი ბრბოს ათქმევინებს: რომ "ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მისი სისხლი". ეს ნათქვამი, რაც ასე ჩვეულია ძველი აღთქმისათვის, არ ნიშნავს, რომ უდანაშაულოდ დაქცეული სისხლი შთამომავლობაზე უნდა გადავიდეს შურისძიებად, არამედ იმას, რომ ხალხმა პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე და საკუთარ შვილებზე.

დასასრულს, არ შეიძლება არ დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ სიკვდილს მსოფლიო ისტორიასთან და ცალკეული ადამიანის ცხოვრებასთან? ყველაზე მოკლე და აზრობრივად დატვირთულ ფორმულებს შორის, რითაც სამოციქულო საკრებულომ იესოს სიკვდილი გაიაზრა და გამოხატა, შემდეგია: "ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის" *(1კორ. 15:3; რომ.4:25).* ეს ფორმულა გვეუბნება, რომ იგი მოკვდა ყველას ცოდვათა გამო და არა მხოლოდ ებრაელთა, არამედ ყველა ხალხის, ყველა ადამიანისათვის. ეს ფორმულა ასევე გვახსენებს, რომ იესო მოკვდა ჩვენდა, ცოდვილთა სახსენელად. 1964 წელს პაპმა პავლე VI-მ იერუსალემის წმიდა საფლავზე მომლოცველობისას განაცხადა: "*აჰა, უფალო იესო! ჩვენ მოვედით, ისე, როგორც დამნაშავეები უბრუნდებიან თავიანთი დანაშაულის ადგილს; ჩვენ მოვედით არა როგორც შენს მიმდევრებად, არამედ როგორც შენს მოღალატეებად; ერთგულნი და მოღალატენი, რამდენჯერ ვიყავით ასეთნი. ჩვენ მოვედით, რათა შევიცნოთ ჩვენს ცოდვასა და შენს ვნებას შორის არსებული იდუმალი კავშირი. საქმენი ჩვენი და საქმენი შენი. ჩვენ მოვედით, რათა მჯიღი დავიკრათ გულზე და პატიება გთხოვოთ, მოვიხმოთ შენი გულმოწყალება...შენა ხარ ჩვენი სასოება...*".

მამა გაბრიელე ბრაგანტინი